პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი

№ 202 (12410) | კვირა, 26 აგვისტო, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

26 აგვისტო მეშახტის დღეა

სურათზე: ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის შახტის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი შ. დადუნდარიძე (მარჯვნივ), წევრები გ. სუთიძე, გ. აბულაძე და გ. ერგემლიძე.

ფოტო პ. ლუცენკოსი. (საქდესის ფოტოქრონიკა).

მეშახტეთა დღესასწაული

დღეს ჩვენი დიდი ქვეყნის მეშახტეები თავიანთ ტრადიციულ დღესასწაულს — მეშახტის დღეს აღნიშნავენ იმ დროს, როცა საბჭოთა ხალხმა უკვე იზეიმა სამამულო მეცნიერებისა და ტექნიკის უბადლო მიღწევა — მსოფლიოში პირველად საბჭოთა კოსმონავტმა მფრინავებმა თანამგზავრი ხომალდებით განახორციელეს გმირული, უმაგალითო სირთულისა და ხანგრძლივობის ჯგუფური გაფრენა კოსმოსში.

კოსმონავტების ზღაპრულმა გმირობამ ახალი შრომითი საქმეებისათვის აღაფრთოვანა მთელი საბჭოთა ხალხი. ყველგან გაჩაღდა შეჯიბრება შვიდწლედის ახალი მიჯნების დასაპყრობად.

სკკპ XXII ყრილობის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის ბრძოლაში თვალსაჩინო წარმატებები აქვთ მოპოვებული ჩვენი დიდი ქვეყნის მეშახტეებს. უკანასკნელ ხუთ წელიწადში ქვაანახშირის მოპოვება ჩვენს ქვეყანაში გაიზარდა 122 მილიონი ტონით. ამჟამად საბჭოთა კავშირს ქვანახშირის მოპოვების დარგში მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს.

ამ საერთო წარმატებაში ღირსეული წვლილი მიუძღვით ჩვენი რესპუბლიკის მეშახტეებს. შვიდწლედის განვლილ სამნახევარ წელიწადში გეგმის გადამეტებით ამოღებულია 100 ათასი ტონა ქვანახშირი. შახტებში განხორციელდა მთელი რიგი ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებანი. ამის შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა ტონა ქვანახშირის თვითღირებულება, ამაღლდა ხარისხი.

ახალი შრომითი საჩუქრებით ხვდებიან საქართველოს მეშახტეები თავიანთ ტრადიციულ დღესასწაულს. განვლილი შვიდი თვის გეგმა 101,1 პროცენტით შესრულეს და სამშობლოს გეგმის გადამეტებით 16 ათასი ტონა სათბობი მისცეს. ამ წარმატებას იმით მიაღწიეს, რომ შახტებში სულ უფრო ფართოვდება კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების მოძრაობა. დღეისათვის ქვანახშირისა და სამთამადნო მრეწველობაში კომუნისტური შრომის წოდება მიენიჭა 118 ბრიგადას, ხოლო ათასზე მეტკაცს — კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება. 30 უბანი. 250-ზე მეტი ბრიგადა ჩაბმულია შეჯიბრებაში ამ საპატიო წოდების მოპოვებისათვის.

შახტებს შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდა ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის შახტი. წლის დამდეგიდან სახელოვანმა მეშახტეებმა ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობას გეგმის გადამეტებით უკვე გაუგზავნეს ოცი ეშელონი შავი „ოქრო". ასევე თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიე ტყვარჩელის მე-5 და მე-6 შახტების კოლექტივებმა.

მიუხედავად მოპოვებული წარმატებებისა ქვანახშირის მრეწველობაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია. ძნიმედ ინერგება შრომატევადი პროცესების მექანიზაცია და ქვანახშირის მოპოვების პროგრესული მეთოდები. ამის შედეგია ის, რომ საექსპლოატაციო უბნების ერთ მესამედზე მეტი ვერ ასრულებს საწარმოო დავალებას.

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის სამეურნეო ხელმძღვანელების, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების მთავარი ამოცანაა რაც შეიძლება სწრაფად დანერგონ ახალი ტექნიკა, მეტი ყურადღება მიაქციონ მუშაობის მოწინავე მეთოდების გავრცელებას. ამავე დროს მკვეთრად უნდა დავაჩქაროთ ახალი ჰორიზონტებისა და შახტების საექსპლოატაციოდ გადაცემა. მიღებულ უნდა იქნას გადამჭრელი ზომები მოქმედი შახტების საპროექტო სიმძლავრეების ათვისების უზრუნველსაყოფად.

რესპუბლიკის მეშახტეების ვალია კიდევ უფრო ფართოდ გაიჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება მეტი ქვანახშირის მოპოვებისათვის, ვინაიდან თვითეული ტონა ზეგეგმითი ქვანახშირი ღირსეული წვლილი იქნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაჩქარებით მომზადების საქმეში.

მის აღმატებულებას გატონ

ნიკიტა ხრუშჩოვს

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

მოსკოვი

გმადლობთ წერილისათვის, რომელმაც ძალიან მასიამოვნა.

შ. დე გოლი

პარიზი, ელისეს სასახლე,
1962 წლის 25 აგვისტო.

დამთავრდა საბჭოთა კოოპერატორების ყრილობა

მოსკოვი, 24 აგვისტო. (საკდესი). დღეს დილის 10 საათზე კოემლის დიდ სასახლეში მუშაობას განაგრძობდა სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა VI ყრილობა. გრძელდება განხილვა მოხსენებისა სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციის წესდებების ცვლილებათა შესახებ.

კოოპერაციული ორგანიზაციების წესდებებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ წინადადებების ყოველ მხრივ განხილვის შემდეგ ყრილობამ დაავალა სპეციალურ კომისიას წარმოადგინოს დადგენილების პროექტი კამათში გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით.

ყრილობა შეუდგა დღის წესრიგის შემდეგ საკითხის განხილვას — „ცენტროსოიუზის" ხელმძღვანელი- და საკონტროლო ორგანოების არჩევნებს.

მოსკოვი, 24 აგვისტო. (საკდესი). დღეს კოოპერატორთა სრულიად საკავშირო VI ყრილობის დელეგატებს სტუმრად ეწვივნენ კოსმონავტი მფრინავები ა. ნიკოლაევი და პ. პოპოვიჩი. შეყრებული მხურვალე ოვაციით შეხვდნენ კოსმოსის დამპყრობლებს. საბჭოთა კოოპერაციის მილიონობით მეპაიეს სახელით სტუმრებს მიესალმა „ცენტროსოიუზის" გამგეობის თავმჯდომარე ა. პ. კლიმოვი.

შემდეგ გამოვიდნენ კოსმონავტების თანამემამულეები, ყრილობის დელეგატები: ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ო. კ. დიპტანი — კიევის ოლქის ილიჩის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური და სოციალისტური შრომის გმირი ვ. ვ. ზაიცევი — ჩუვაშეთის ასსრ სასოფლო-სამეურნეო არტელის „გამარჯვების" თავმჯდომარე.

სიტყვით სიტყვაში წარმოთქვეს ანდრიან ნიკოლაევმა და პაველ პოპოვიჩმა.

მოსკოვი, 25 აგვისტო. (საკდესი). გამოაცხადეს შედეგები „ცენტროსოიუზის" ხელმძღვანელი და საკონტროლო ორგანოების არჩევნებისა, რაც გუშინ გაიმართა. „ცენტროსოიუზის" საბჭოში არჩეულია 100 კაცი. გამგეობაში — 17 კაცი. სარევიზიო კომისიაში — 7.

„ცენტროსოიუზის" გამგეობის თავმჯდომარედ ერთსულოვნად მიიღო დადგენილება „ცენტროსოიუზის" გამგეობის ანგარიშის გამო და სამომხმარებლო კოოპერაციის ამოცანების შესახებ სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, აგრეთვე დადგენილება სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციების წესდებათა ცვლილებებისა და დამატებების შესახებ. დაამტკიცეს „ცენტროსოიუზის" ბალანსი.

ყრილობის დელეგატებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

ყრილობის დელეგატებმა ერთსულოვნად მიიღეს მომართვა მსოფლიოს კოოპერატორებისადმი.

ამის შემდეგ სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა VI ყრილობა დახურულად გამოცხადდა.

ალტაის სატრაქტორო

რუბცოვსკი, 23 აგვისტო. (საკდესი). ალტაის სატრაქტორო ქარხანას ოცი წელი შეუსრულდა. 1942 წლის 24 აგვისტოს აქ, შენობაში, რომელიც საამწყობო საამქროს ცვლიდა, გამომზებული იყო პირველი ტრაქტორი. ოცი წლის განმავლობაში ქარხანა გადაიქცა მსხვილ საწარმოდ, ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისათვის, ხე-ტყის მრეწველობის მეურნეობებისათვის გამოუშვა. 223 ათასზე მეტი ტრაქტორი. მანქანები იტს მარკით მუშაობენ ჩინეთის, მონღოლეთის, კორეის ხალხებში, ვიეტნამის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, კუბისა და სხვა ქვეყნების მინდვრებში. სათრეველი ტრაქტორმა ტდტ-60, რომელიც ალტაელმა კონსტრუქტორებმა შექმნეს, საერთაშორისო გამოფენაზე ბრიუსელში უმაღლესი შეფასება — გრანდ-პრი დაიმსახურა.

სატრაქტორო ქარხნის მუშაკები ახლა ემზადებიან ახალი ჩქარსნული ტრაქტორების სერიული წარმოებისათვის, რომლებიც საწარმოს კონსტრუქტორებმა შექმნეს. ამ ეკონომიური მანქანების გამოყენება აუაზაეთის, ციმბირის, ამირეთ-ურალის დიდი ყამირი მიწის მასივებზე ათასობით მექანიზატორს გაათავისუფლებს.

ალტაელი ტრაქტორმშენებლები ახორციელებენ თავიანთი ქარხნის რეკონსტრუქციას, შენდება ახალი სამრეწველო კორპუსები. რეკონსტრუქციის შემდეგ ტრაქტორების წარმოება ქარხანაში ერთიორად გაიზრდება.

ასტრონომთა ექსპედიცია მაღიდან დაბრუნდა

ლენინგრადი, 23 აგვისტო. (საკდესი). მალის რესპუბლიკიდან დაბრუნდნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ასტრონომიული ექსპედიციის მონაწილენი, რომლებიც დაკვირვებას აწარმოებდნენ მზის რგოლისებრ დაბნელებაზე, რაც 31 ივლისს მოხდა.

ექსპედიციის ხელმძღვანელმა პულკოვოს ობსერვატორიის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა კ. ნ. ტავასტშერნამ საკდესის კორესპონდენტთან საუბარში თქვა:

— მზის დაბნელება, რომლის დასაკვირვებლად გაემგზავრა ჩვენი ექსპედიცია, დაიწყო 10 საათსა და 18 წუთზე და დამთავრდა 14 საათსა და 14 წუთზე. რაც შეეხება რგოლისებრ ფაზას, იგი სულ 3,5 წუთს გაგრძელდა.

ქალაქ ბამაკოს რაიონში დაკვირვებისათვის შეიქმნა სპეციალური მოედანი. აქ დადგმული იყო საბჭოთა კავშირიდან ჩატანილი რადიოტელესკოპები და ასტროგრაფი. დაკვირვებაში მონაწილეობა მიიღეს მალის მეცნიერებმა. რადიოასტრონომებმა, რომლებსაც ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ა. პ. მოლჩანოვი მეთაურობდა, ზუსტად აღნიშნეს მზის რადიოგამოსხივების ცვლილებანი, რაც დაბნელების დროს მოხდა, ხოლო ასტრონომებმა ასტროგრაფის დახმარებით გადაიღეს დაბნელების კერძო ფაზების 20 ფოტოსურათი, სურათები შესანიშნავი გამოვიდა.

პულკოვოს ობსერვატორიაში დაიწყო მალის რესპუბლიკიდან ჩამოტანილი მასალების დამუშავება. დაბნელების ფოტოსურათების განზომილებათა შედეგებს მეცნიერები გამოიყენებენ, რომ დაზუსტონ მთვარის მოძრაობა დედამიწის გარშემო და დედამიწისა — მზის გარშემო.



სიხარულით და ზეიმით შეხვდა საბჭოთა ხალხი მამაც კოსმონავტებს ა. გ. ნიკოლაევსა და პ. რ. პოპოვიჩს, რომლებმაც ისტორიაში პირველად მოახდინეს ჯგუფური კოსმოსური გაფრენა, ამჟამად ა. გ. ნიკოლაევი და პ. რ. პოპოვიჩი მოსკოვში არიან, თავისუფალ დროს თავიანთი მახლობლებისა და ნათესავების წრეში ისვენებენ.

სურათებზე: ა. გ. ნიკოლაევი თავის დედა ანა ალექსის ასულთან და ძმა პეტრესთან.

ფოტო ე. ევზერიხინისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ჩვენ ლიად საბჭოეთში

შეღავათიანი ბილეთები

მოსკოვი, 23 აგვისტო. (საკდესი). ტურისტული მატარებლები... ისინი დადიან უკრაინისა და კავკასიის, ბალტიისპირეთისა და ურალის, რკინგზებზე. ათასობით მოსკოველი და ლენინგრადელი, ჩვენი ქვეყნის ბევრი სხვა ქალაქის მცხოვრებები საინტერესო მოგზაურობაში მიდიან ამ მატარებლებით. ტურისტული მატარებლების რიცხვი ყოველ წელს იზრდება.

გზათა სამინისტრომ დაიწყო შეღავათიანი ხეზონური ტარიფები ტურისტებისათვის, რომლებიც ასეთი მატარებლებით იმგზავრებენ 1 ნოემბრიდან 30 აპრილამდე. ბილეთი 30 პროცენტით იაფი ეღირება.

რკინიგზით მგზავრობისათვის შეღავათიანი ტარიფები 50 პროცენტის ფასჩამოკლებით დაწესებულია აგრეთვე უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სტუდენტებისათვის, აგრეთვე მოსწავლეებისათვის საშემოდგომო, საზამთრო და საგაზაფხულო არდადეგების დროს.

ალბანეთი

ალბანეთ-ჩინეთ ურთიერთობა

ტირანა, 24 აგვისტო. (ტასსი). ალბანეთ-ჩინეთ ურთიერთობა ალბანეთ-ალბანეთ ურთიერთობა ალბანეთ-ალბანეთ ურთიერთობა ალბანეთ-ალბან

ინდუსტრიის პური

26 აგვისტო მეშახტის დღეა

ქუსმონავტების ნიკოლაევისა და პოპოვიჩის უმაგალითო გმირობამ ახალი შრომითი საქმეებისათვის აღაფრთოვანა თვითეული საბჭოთა ადამიანი. თავიანთ სამუშაო უბნებზე ყველა ცდილობს დიდი გადაჭარბებით შეასრულოს დავალება და ამით ღირსეული წვლილი შეიტანოს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომზადების საქმეში. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საკითხები იქნა გადაწყვეტილი, შეიქმნა 200-ზე მეტი სახის დიდი წარმოების სამთო მანქანები და მექანიზმები.

რესპუბლიკის მეშახტეები და შახტმშენებლები თავდადებით შრომობენ და წარმატებით ახორციელებენ კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის წინასწარდასახულობებს. მეშახტეებმა ქვანახშირის გამოღების შვიდი თვის გეგმა 101,1 პროცენტით შეასრულეს და თავიანთი დღესასწაულის აღსანიშნავად გეგმის გადამეტებით 16 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ქვანახშირი მისცეს სამშობლოს.

შახტებს შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებას აღწევენ და შვიდწლეულის ახალ მიჯნებს იპყრობენ ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობისა და ტყვარჩელის ქვანახშირის მე-5 შახტების კოლექტივები. ტყვარჩელის მე-5 შახტაში, რომლის უფროსია ამხ. სიმონიშვილი, მთავარი ინჟინერი ამხ. როინიშვილი, ფარფოდ დანერგეს კრიკოო როგის მოწინავე შახტების „გიგანტისა“ და „ბოლშევიკის“ მუშაობის გამოცდილება. აქის შედეგად შახტის კოლექტივმა მკვეთრად შეამცირა პროდუქციის, თვითღირებულება, გაუმჯობესა ეკონომიური მაჩვენებლები და მიმდინარე წლიდან უარი თქვა სახელმწიფო დოტაციაზე.

ქვანახშირის შახტებში ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა მთელი რიგი ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებანი. ამის შედეგად წლის პირველ ნახევარში ამოღებული ნახშირის ნაცრიანობა 1957 წელთან შედარებით 5 პროცენტით შემცირდა.

სამთამადნო მრეწველობა ამჟამად მიეკუთვნება სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ შრომატევად დარგს, სადაც პროდუქციის თვითღირებულებაში ნახევარზე მეტს შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯები შეადგენს. ამიტომ მთავარი ყურადღება მიექცა შრომატევადი პროცესების მექანიზაციას.

უკანასკნელ წლებში ამ მიმართულებით მეტად მნიშვნელოვანი საკითხები იქნა გადაწყვეტილი, შეიქმნა 200-ზე მეტი სახის დიდი წარმოების სამთო მანქანები და მექანიზმები.

რესპუბლიკის შახტებში მთლიანად მექანიზებულია ისეთი შრომატევადი სამუშაოები, როგორიც არის ნახშირის გამოზიდვა და გაგორება. გარდა ამისა, დაინერგა მთელი რიგი ახალი ტექნიკა და ქვანახშირის გამოღების პროგრესული მეთოდები. ტყვარჩელის შახტებში დანერგილ იქნა სასულეების (ლომპალი სამთო გამონამუშევრების) გასაყვანად სპეციალური მანქანები; ტყიბულის შახტებში საგრძნობლად გაიზარდა ნახშირის ამოღება ჰიდრავლური ესებით, ესების მასალად ნაქერალის ქვიშების გამოყენებამ ექვსჯერ გაიაფა ჰიდროესების სამუშაოები. მიზნად არის დასახული უახლოეს წლებში ტყიბულში მთლიანად ჰიდროესების წესით ვაწარმოოთ ნახშირის სქელი ფენების დამუშავება. ტყვარჩელის მაღაროების მოსამზადებელ სამთო გამონამუშევრებში დანერგილ იქნა ანკერული (შტანგური) გამაგრება.

ტყვარჩელში მიწისქვეშა სანგრევების გაყვანაზე დანერგილია მოკლე-დაყოვნებული აფეთქება, რაც 15-20 პროცენტით აჩქარებს სანგრევების წინსვლას. მთლიანად შახტებში განხორციელებულია 50-ზე მეტი სანგრევიერო ხაზის ავტომატური და დისტანციური მართვა. ავტომატიზებულია აგრეთვე ტყვარჩელის ყველა საჰაერო სამგზავრო გზა.

ტყვარჩელისა და ტყიბულის ცენტრალურ გამამდიდრებელ ფაბრიკებში განხორციელდა მექანიზმების ავტომატური დაზეთვა, ხოლო ტყვარჩელის გამამდიდრებელ ფაბრიკაში გამდიდრების სქემის გამარტივების შედეგად ნაცვლად შვიდი ცალი დამლაქი მანქანისა, დაიდგა მხოლოდ ერთი მოდერნიზებული, მაღალი წარმოდობის მანქანა, რამაც მნიშვნელოვნად გაადვილა ფაბრიკის ხარისხობრივი მაჩვენებლები.

ქვანახშირის შახტებში ინერგება ცალკეული სამუშაო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის უახლესი საშუალებანი. წელს დამთავრდება და საექსპლოატაციოდ გადაეცემა ტყიბულის ნახშირის საბრიკეტო ქარხანა, რომელიც მაღალხარისხოვანი ნახშირის ბრიკეტებით მოამარაგებს ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობას.

აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად 1962 წელს სამთო გამონამუშევრების გაყვანის ტემპები 1958 წელთან შედარებით 45 პროცენტით გაიზარდა. ხოლო წმენდითი სანგრევების წინსვლის სიჩქარე 20 პროცენტით დაჩქარდა. სამთო სამუშაოების კონცენტრაციის გზით შემცირდა სამთო სამუშაოების გაყვანის მოცულობა ათ კილომეტრამდე, რომლის გაყვანის ღირებულება ერთ მილიონ მანეთს აღემატება.

ნახშირის გამოღების ტექნოლოგიის გაუმჯობესების შედეგად მარშან ნახშირის საექსპლოატაციო დანაკარგები 1958 წელთან შედარებით 100 ათას ტონამდე შემცირდა. სამუშაო პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის შედეგად 1957-1962 წლებში დამხმარე სამუშაოებიდან განთავისუფლებულ იქნა 500 კაცი, ხოლო მარტო მიმდინარე წელს — 150 კაცი. ეს ხალხი გამოყენებულია ძირითად სამუშაოზე.

საქართველოს მეშახტეთა წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვით და მაღალი შრომითი წარმატებები მოიპოვეს კომუნისტური შრომის იმ ბრიგადებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ლ. ლომაია, ვ. ბიგვავა, ა. გოლუტოვეი, ნ. ბახტაძე, ა. ჩიკობავა, გ. ჭიკაბერიძე, ს. ლომიძე და სხვ.

მოწინავე მეშუბის, ინჟინერ-ტექნიკოსების მხარდამხარ ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ინსტიტუტები. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამთო საქმის ინსტიტუტის კოლექტივი ტყიბულსა და ტყვარჩელში წარმოების მუშაკებთან მჭიდრო თანამშრომლობით მუშაობს ქვანახშირის სქელი ფენების რაციონალური დამუშავების სისტემის დასადგენად. ინერგება აგრეთვე გამონამუშევრების გაყვანა მოკლე დაყოვნებული აფეთქებით.

ცალკეული პრობლემების გადაწყვეტაში ქვანახშირის მრეწველობას დიდ დახმარებას უწევენ აგრეთვე საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი და რუსთაველის საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტი.

გეოლოგების თავდადებული შრომის შედეგად რესპუბლიკაში ქვანახშირის მარაგი 1940 წელთან შედარებით 3-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართველი გეოლოგების წარმატება შორის საბადოს შესწავლისა და მისი მარაგის დადგენის საქმეში.

შაორის საბადო საშუალებას იძლევა ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნას ქვანახშირის მოპოვების ახალი მძლავრი კერა, რომელიც მთლიანად დაკმაყოფილებს საქართველოს და ამიერკავკასიის მომძლე რესპუბლიკების მოთხოვნილებას მაღალხარისხოვან ქვანახშირზე.

თავდადებით შრომობენ რესპუბლიკის შახტმშენებლები. ისინი ძალღონის დაუზოგავად მუშაობენ იმისათვის, რომ ახალი შახტები დროულად გადასცენ საექსპლოატაციოდ. ვაღაზე ადრე ამთავრებენ კულტურული-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობას.

ყოველწლიურად უმჯობესდება მეშახტეთა სამბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. 1957-1961 წლებში მეშახტეებისათვის აშენდა 50 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. შვიდწლეულის ბოლოსათვის გათვალისწინებულია კიდევ აშენდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს 60 ათასი კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი. აშენდა კლუბები, კულტურისა და დასვენების სახლები, სპორტული ბაღები და ბაღები, სკოლები და საავადმყოფოები. დიდი სახსრებია გამოყოფილი მეშახტეთა დასახლებული ადგილების კეთილმოწყობისათვის.

მიუხედავად მოპოვებული მიღწევებისა, ჯერ კიდევ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი. საექსპლოატაციო უბნების თითქმის ერთ მესამედზე მეტი ვერ ასრულებს საწარმოო დავალებებს. არ არის გადაწყვეტილი მონგრეული ნახშირის დატვირთვის მექანიზაცია.

შახტებში ნელა ინერგება შრომის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდები. მაგალითად, მეხუთე შახტის მუშაობის გამოცდილება დანერგილი არ არის არა მარტო რესპუბლიკის სხვა შახტებში, არამედ თვით ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის დანარჩენ შახტებშიც. ზოგიერთი შახტი არარიტმულად მუშაობს, და დიდი გადახარჯვა აქვს.

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მთავარ ამოცანას ამჟამად წარმოადგენს ახალი ჰორიზონტებისა და შახტების საექსპლოატაციოდ გადაცემის დაჩქარება. ამასთან ერთად მიღებულ უნდა იქნას გადამჭრელი ზომები მომქმედი შახტების საპროექტო სიმძლავრეთა ათვისების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს ქვანახშირის შუშაკები დიდ ორგანიზატორულ და ტექნიკურ ღონისძიებებს ახორციელებენ იმისათვის, რომ წარმატებით გადაწყვეტონ ის ამოცანები, რომლებიც დასახულია პარტიის XXII ყრილობის მიერ, და ამით ღირსეული წვლილი შეიტანონ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში.

დ. ჩიკავაიძე,
საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამთო მრეწველობის სამმართველოს უფროსი.

ძმები სამთოელები

ბიგენტი ტეფნაძეს ბავშვობიდან-ვე იტაცებდა მეშახტის პროფესია. 1951 წელს, როცა მიწისქვეშა ქარხანაში ჭაბუკმა პირველად შედგა ფეხი, ისე შეაკრთო მომნგრევი ჩაქუჩის გრუხუნმა, გამაყრუებელმა აფეთქებებმა, დაზვავებული ქანების გრიალმა, რომ კინაღამ უღალატა თავის გადწყვეტილებას.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ბიკენტი შეეჩვია და შეეზარდა მეშახტის ცხოვრებას. მონდომებამ, გამოცდილ მეშახტეთა დახმარებამ თავისი შედეგი გამოიღო. იგი ახლა თავისუფლად ფლობს მბიგიის, გამყვანის, გამმაგრებლის, ზეინკლის, ლავის დამჯენისა და მნგრეველის პროფესიას. ახალგაზრდა მეშახტეები მოწინავეთა შორის პირველ რიგში ბიკენტი ტეფნაძეს დაგისახელებენ. გამმაგრებელთა ბრიგადის საუკეთესო ხელმძღვანელი ამავე დროს ნოვატორიც არის. იგი ავტორია შვიდი რაციონალიზატორული წინადადებისა, რომელთა დანერგვამ შახტს ათასობით მანეთი ეკონომია მისცა.

მეშახტის დღის აღსანიშნავად შრომით ვახტზე დადგნენ ბრიგადის წევრები და ვალდებულება იკისრეს 26 აგვისტოსათვის შეასრულონ შვიდწლედის მეოთხე წლის დავალება. ეს ვალდებულება 10 აგვისტოსათვის გაანაღდეს.

მაღალნაყოფიერი შრომის შედეგად ამ ბრიგადის თვითეული წევრის საშუალო თვიური გამომუშავება 250-300 მანეთს აღწევს.

ჩვენმა ხარხმა და პარტიამ იციან კეთილსინდისიერი შრომის დაფასება. ნოვატორი მეშახტე ბიკენტი ტეფნაძე არჩეულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და პარტიის ახალციხის რაიკომის წევრად.

ბიკენტის გზას გაჰყვნენ მისი უმცროსი ძმები ილია და ვლადიმერი. ილია უკვე ათი წელია შახტში მუშაობს და ახლა საუკეთესოდ ხელმძღვანელობს მნგრეველთა ბრიგადას, რომელიც კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელის მოპოვებისათვის იბრძვის.

სახელოვანი ძმების მხარდამხარ იბრძვის უმცროსი ძმა ვლადიმერი. იგი ილიას ბრიგადის წევრია და სხვებთან ერთად 115-120 პროცენტით ასრულებს ყოველთვიურ დავალებებს.

სამთოელ ძმებს აღაფრთოვანებს ის, რომ შახტმა თავი დააღწია ჩამორჩენას. აქ გადაჭარბებით შეასრულეს ქვანახშირის ამოღების იეოლის დავალება. ხოოო აგვისტოში გეგმის ზევით უკვე ამოღებულია 700 ტონა სამობი.

შახტის კოლექტივის ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა წლის ბოლომდე წლიური გეგმის გადამეტებით მისცეს სამშობლოს რამდენიმე ასეული ტონა ქვანახშირი, საგრძნობლად შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება და 8 პროცენტით გაზარდოს შრომის ნაყოფიერება.

ამ საქმეში თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ ძმები სამთოელები.

ჰ. ხვადაძე.

სურათზე: ახალციხის № 1 შახტის სამთოელები, (მარცხნიდან), ძმები ბიკენტი, ილია და ვლადიმერ ტეფნაძეები.

ფოტო დ. ჯინჭველაძისა.

შეხვედრა მთებში

— მაუ ერთი შეხედვით იცანი?

— ჰო, ერთი შეხედვით. ცხვარი ბალახის ძოვის დროს ნიავს გამოჰყოლოდა. ჩამოვქვეითდი და ის იყო ცხვარი ყაზბეგელების ბინაში უნდა დაგვეტოვებინა, რომ არსენა ღუდუშაური დავინახეთ, ხეებში ეკლო, დაკარგული ცხვრის კვალს გამოჰყოლოდა. ახლა არსენა ბიეი უკან დარჩა, ცხვარს მოერეკება.

— თქვენ აგაშენათ ღმერთმა, შვილებო.

* * *

ცეცხლი მინელდა. პურის ჭამა დამთავრდა. კავ-ნაბდიანი მწყემსები ქოხიდან სუფთა ჰაერზე გამოიშალნენ. მთებზე თეთრი ნისლი აშლილიყო, დაბლა ხეობაში ჩვეული რიხით ბორგავდა თერგი.

„ტიალო დარიალაო, კლდენი ხარ ცარიალაო!...“ თავისთვის ჩაიღაღარაკა დავითმა და წარსულს გადაავლო თვალი.

...ადრე თხუთმეტიოდე კომლი იყო გაერთიანებული სიონელთა კოლმეურნეობაში. როცა დავითს თავჩობნობა ანდეს, ფარაში ხუთი ათასი ცხვარი მიუთვალეს. თვითეულ ცხვარს ორ კილოგრამზე მეტ მატყლს ვერ პარსავდნენ. ფარაში რომ რაიმე ავადმყოფობა გაჩენილიყო, თემიდან ყაზბეგში კი არა, ქალაქში უხდებოდათ ჩამოსვლა ვეტექიმის წასაყვანად.

ახლა სიონელთა სამწყემსოში 18.660 სული ცხვარია, წელს 5 ათასამდე ბატკანი გაზარდეს. საშუალოდ თვითეული ცხვრის ნაპარსმა სამ კილოგრამს მიაღწია. მაღე მეორედ გაპარსავენ ცხვარს. ბორის ხეთაგურისა და სიმონ გელაძის ბრიგადის მწყემსებს მჯობს ვერ მოუძებნით. სამშობლოს ასეულ ცენტნერობით მატყლი ჩააბარეს. ნამატის შენარჩუნებისა და პროდუქტიულობის ასამაღლებლად ახალბედებმა ლამის ვეტერანებიც დაჯაბნენ.

...ნეტარებაა გერგეტის მთაზე ყოფნა. თოვლით შებურული მყინვარი გულზვიადად დაჰყურებს დარიალის ხეობაში შეფენილ სოფლებს. აქვეა სიონიც. ვინა თქვა, მყინვარი მიუყარები, გულცივიაო. სიონელმა მწყემსებმა მისი ყველა ბილიკი და ფლატე საკუთარი ხუთი თითივით იციან. განა აქ არ იყო, ახალგაზრდა მწყემსმა ეულია ხოლელიძემ გულის სწორი რომ გაიცნო. ჭაბუკმა მას სიყვარული შეჰფიცა და მიუმღერა, მყინვარის თოვლივით სუფთაა ჩემი გულის ძახილიო. ეულია ამ ამბავს ხშირად ფანდურზე ამღერებს. ასე იყო ამ დღესაც:

მთაში გაგიცან პირველად,
თვალი შეგავლე მთვარესა.
ყელი გიგავდა თეთრ დვინოს,
ჭიქაში მდგომიარესა.

— ყოჩაღ ბიჭო, ლექსები გცოდნია, ცხვარში რაი გინდა, შენ ქალაქში უნდა მღეროდე, — ხარხოცით ესიტყვებიან მწყემსები.

— შენ არც შრომაში უქნიხარ ღმერთს და არც სიმღერაში, — კენწლავს ეულია ცალყბად მოღიმარ ბიჭს. რას დამცინით?!.. აბა მოვიდეს ცხვრის გამგზავრების დრო... მაშინა მნახეთ, ყიზლარის მინდვრებზე ცხვარს დავბინავებ, დავბრუნდები, იმ ქალას ვნახავ, ჭორწლის გადავიხდი, სუფეულას დაგპატიჟებთ, ზოგიც მაშინ იცინეთ!

* * *

სალომამ და ჯუმბერმა მთაში ახალი ჟურნალ-გაზეთები ამოიტანეს, ყველა გაზეთში გმირი კოსმონავტების სურათები ეხატა.

— აი ნამდვილი ზღაპარი... ბავშვობისას გამგონია: ბატონის შვილს მფრინავი ხალიჩა ჰქონდა, ცხრა ზღვისა და ცხრა მთის იქით თვალლამაზ ქალთან გადაფრინდაო.

გაგარინსა და ტიტოვს ზღაპრული ხალიჩა არ ჰქონიათ, მაგრამ მთელი ქვეყნიერება, ცა და ხმელეთი გადარიეს... ახლა ნიკოლაევისა და პოპოვიჩის გმირობას არ იტყვიან!...

ბინაზე დაბრუნებულმა მწყემსებმა პირველად სოფლიდან ამოსული სტუმრები მოინახულეს, მერე კი გაზეთებს დაუწყეს გადათვალიერება.

სიბნელე წაეპარა ორწოხებს. ხეობებში ანვავლებულმა ჩანჩქერებმა ექოს უმატეს.

მხოლოდ ფიზზლობდნენ ნაგაზები, ყეფით ეხმაურებოდნენ ხეობებში მდინარის შხუილს და ხეთა ფოთლების შრიალს.

ვ. ყუშიტაშვილი,
ყაზბეგი-თბილისი.
აგვისტო.

* * *

სურათზე: მოწინავე მწყემსი ჯიმშერ ხელელიძე.

ფოტო ავტორისა.

უვნებელ ვყოთ ფაშისტური განდები

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს განცხადება

პარიზი, 24 აგვისტო. (საკადესი). საფრანგეთი აჩქარებულ „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის „დანაშაულებრივი საქმიანობის მკვეთრი აქტივიზაციის შფოთიან ვითარებაში ცხოვრობს, ნათქვამია საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს განცხადებაში, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა. თავდასხმა გენერალ დე გოლზე, ბომბების ტერორისტული აფეთქებანი, შეიარაღებული ძარცვა, ცეცხლის წაკიდება მოწმობენ, რომ „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის“ ბანდიტები არ ცხრებიან.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიურო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხელისუფლებს ეკისრებათ პირდაპირი პასუხისმგებლობა ფაშისტური საქმიანობის ამ აღორძინებისათვის. ოასი ვაზდა ომის პირმშო ალჟირში. დე გოლის ხელისუფალთა ხანგრძლივმა წაყრუებამ, რეაქციის ოფიციალური წრეების თანამზრახველობამ ხელი შეუწყეს ფაშისტური ორგანიზაციის განვითარებასა და მისი დანაშაულებრივი საქმიანობის გაშლას.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია, ნათქვამია განცხადებაში, მოუწოდებს საფრანგეთის მუშათა კლასს და ყველა რესპუბლიკელს შეკავშირდნენ და მოითხოვონ სამაგალითოდ დაისჯოს ფაშისტთა ყველა მეთაური, აგენტი და თანამზრახველი, მოითხოვენ გაიწმინდოს არმია, პოლიცია, სასამართლო ორგანოები და მართვის ორგანოები.

ელისუფალთა წაყრუებით

დასავლეთ ბერლინი, 24 აგვისტო. (საკადესი). დასავლეთბერლინელი „ულტრების“ პროვოკაციული გამოხდომები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ არ წყდება. 22 აგვისტოს ღამით მათ მოახდინეს კიდევ ერთი ბანდიტური თავდასხმა საქალაქო რკინიგზის მატარებელზე, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამგებლობაშია.

„საფრონტო ქალაქის“ პოლიცია ყურადღებას არ აქცევს ამ დანაშაულებრივ თავდასხმებს.

განცვიფრებული კონტინენტი

სამხრობის დროა. 50-ე ქუჩისა და მე-6 ავენიუს კუთხეში „რადიოსიტისთან“ ამ დროისათვის ჩვეულებრივი გიჟური ორომტრიალია. არ მოძრაობენ მხოლოდ რუხი უზარმაზარი ცათამბჯენები, თითქოს ლაქვარდ ცას შერჭობიანო. დანარჩენი ყველაფერი მოძრაობს, ერთმანეთს ეხეთქება, სადღაც მიიჩქარის. ბანკებისა და „დრაგსტორების“ ვიტრინების გასწვრივ ადამიანები გარბიან. ქვაფენილზე წყებაწყებად მიჰქრიან ავტომობილები. მაგრამ ეს კაცი ვერ ამჩნევს ორომტრიალს. გაზეთი გაუშლია, შუაგულ ტროტუარზე გაჩერებულა და კითხულობს. ეჯახებიან, ლანძღავენ. მას კი თითქოს არაფერი არ ახსოვს. მე ვხედავ სათაურს პირველ გვერდზე — „გიგანტურ ასოებს მთელი ფურცელი უქერავს: „კოსმონავტები დედამიწაზე. მარათონული ფრენა დამთავრდა“.

შაგგერემანი ახალგაზრდა მიდის და ისე უსმენს ჯიბის რადიომიმღებს.

საღამოს ნიუიორკელთა გულისყური ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით ცამ მიიპყრო. დაწყებული საღამოს 7 საათიდან, დგიდლონერი რადიოსადგური ყოველ 15 წუთში წყვეტდა ჩვეულებრივ გადმოცემებს და ამეორებდა:

„ყურადღება, ყურადღება! 9 საათზე „ალმოსავლეთი-3“ ჩვენს ქალაქს გადაუფრენს. საბედნიეროდ, — დასძენდა დიქტორი, — ცა თითქმის ულრუბლოა

ჯაუუი თანამგზავრები

ნიუ-იორკი, (საკადესი). სამხედრო მიზნით კოსმოსის გამოყენების ამერიკულ პროგრამას უძღვნის სტატიას ჟურნალი „უეაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“.

„რუსეთთან მრავალმხრივ კოსმოსურ შეჯიბრებაში, — წერს ჟურნალი, — ამერიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პროგრამას „ზესადუმლო“ დაღი ადევს და დაფარულია მთელი მსოფლიოსაგან.

საქმე ეხება სამხედრო ხელოვნური თანამგზავრების გაშვების პროგრამას, რომელთაც საარსებოდ დიდი მნიშვნელობა აქვთ ამერიკის შეერთებული შტატების შემდგომი თავდაცვისათვის.

გასული წლის ნოემბრამდე სამხედრო პროექტები ფართო საზოგადოებრიობას ეცნობოდა. შემდეგ დეტალების გაცნობაც აიკრძალა. ამჟამად ამერიკელი ოფიცრები უარს ამბობენ განიხილონ ასეთი პროექტები და არ სურთ დასახელონ მათი კონდირებული სახელწოდებანიც კი.

მაგრამ ცნობილია, რომ გასული წლის ნოემბრიდან კალიფორნიაში მდებარე ორი ბაზიდან გაშვებულ იქნა 20 სამხედრო ხელოვნური თანამგზავრი. არსებული ინფორმაციის საფუძველზე სპეციალისტებს დასკვნა გამოაქვთ, რომ მათ თანამგზავრება გაჰყავთ პოლარულ ორბიტებზე, საიდანაც შეიძლება რუსეთის მთელი ტერიტორიის დანახვა“.

შემდეგ სტატიაში ჩამოთვლილია „ამერიკის საიდუმლო ხელოვნური თანამგზავრები“. თანამგზავრი „სამოსი“ დახასიათებულია როგორც „ორბიტაზე მფრინავი „ცის ჯაშუში“, რომელიც ასრულებს სადაზვერვო დავალებებს, რასაც ოდესღაც „უ-2“ თვითმფრინავები ასრულებდნენ. თანამგზავრები „მიდასი“ გათვალისწინებულია „ინფრაწითელი სხივების დახმარებით მტრის რაკეტების გაშვების აღმოსაჩენად“. თანამგზავრ „დისკავერერს“ ჟურნალი უწოდებს „ლაბორატორიას სხვა სამხედრო სისტემების დასაშუშავებლად და ამავე დროს „სამუშაო მოედანს“. „დისკავერერი“ უზრუნველყოფს ძვირფას ცნობებს კოსმოსში ადამიანის გაგზავნის სამხედრო პროექტებისათვის. ეს თანამგზავრი გამოყენებულია საიდუმლო ექსპერიმენტებისა და პროექტებისათვის“...

ძალადობა, თვითნებობა...

ნიუ-იორკი, 24 აგვისტო. (საკადესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კუბის მუდმივი წარმომადგენლის მარიო გარსია ინჩაუსტეგის წერილში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებლის უ თანსისადმი მოყვანილია მრავალრიცხოვანი ფაქტები, როცა ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლები აღიდევენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კუბის წარმომადგენლობის კანონიერ უფლებებს.

წერილში აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ თვითნებურად ან ცალმხრივად გაუქმა შეღავათები საფოსტო ბაჟებზე, რომლებითაც სარგებლობდა კუბის წარმომადგენლობა როგორც ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკისა და ესპანეთის საფოსტო კავშირის წევრი ქვეყნის წარმომადგენელი. ამერიკელი ხელისუფლები უარს ამბობენ მისცენ კუბის წარმომადგენლობას ლიცენზიები, რათა მიიღოს სამაჯობი მის სახელზე გამოგზავნილი ამანათები, აგრეთვე თვითნებურად ზღუდავენ ვიზების რაოდენობას დიპლომატიური შეკრიკებისათვის, რომლებიც აკრედიტებული არიან კუბის წარმომადგენლობაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ტელეგრაფი გვაცყობინებს

□ **ბრიუსელი,** 24 აგვისტო. (საკადესი). ბელგიის ლიეჟის რაიონის დაახლოებით 10 ათასმა გლეხმა გუშინ ქალაქ ბატისში გამართა დემონსტრაცია თავისი ეკონომიური მოთხოვნების მხარდასაჭერად.

გლეხებსა და „წესრიგის უზრუნველყოფის ძალებს“ შორის მოხდა შეტაკებანი.

□ **პარიზი,** 24 აგვისტო. (საკადესი). დღეს ღამით ოას-ელებმა განახორციელეს ახალი ტერორისტული აქტი. მათ აიფეთქეს ბომბი ქალაქ ნანტში, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის შენობასთან. როგორც ფრანს პრესის საააგენტო იუწყება, აფეთქებამ „მნიშვნელოვანი ნგრევა“ გამოიწვია. ადამიანთა მსხვერპლი არ არის.

რათ ეფოთავს ამერიკა?

ნიუ-იორკი, 24 აგვისტო. (საკადესი). ამერიკელ ადამიანებთან საუბრები ნიუ-იორკის ქუჩებში არაკეთილ ეჭვს არ ტოვებს: რიგითი ამერიკელი — სტუდენტი, მუშა, მოსამსახურე — აღტაცებულია საბჭოთა ადამიანის ბრწყინვალე გმირობით.

მაგრამ სხვა ხმებიც გაისმის. საეჭვო არ არის გქონდეთ მახვილი სმენა, რომ ეს ხმები მოისმინოთ: ავისმდომი, ბრაზიანი, ბოროტი ხმები. როგორც წესი, ეს ხმები „პროფესიონალებისაგან“ — პოლიტიკანების, გენერლების, ზოგიერთი სპეციალისტი მეროკეტისაგან მოისმის. „ცივი ომის ომიანები“, სულ ახლახან რომ გაჰყვიროდნენ შეერთებული შტატების „ტექნიკურ უპირატესობაზე“, ამჟამად დაძმარებულ გუნებაზე დადგნენ. სხვადასხვა ჟურნალ ამ კომპანიებში, რომლებიც ცდილობენ ძირი გამოუთხარონ ამერიკელთა აღტაცებას, არიან — ყოფილან პრეზიდენტი ჰარი ტრუმენი, ღვარძლიანი ანტისაბჭოთა ჟურნალისტი დეივიდ ლოურენსი, ამერიკის კოსმოსური კვლევის ადმინისტრაციის ხელმოცარული ხელმძღვანელი ჯეიმს უები.

სწორედ მათ მიუძღვნა თავისი „სანუგეშო სიტყვები“ ცნობილმა ამერიკელმა ფელეტონისტმა არტ ბუჰვალდმა. „საკმაოდ ცუდია, როცა რუსები გზაზვინან კოსმოსში ერთ ადამიანს, — ირონიულად შენიშნავს იგი. — მაგრამ როცა ისინი კოსმოსში უშვებენ ორს — ეს მთლად აუტანელია. ამგვარ პერიოდებში დასავლეთის სამყაროს სანუგეშო სიტყვები სჭირდება. აი, მაგალითად, რა შეიძლება ითქვას, რომ რუსების გმირობა უფრო ასატანი გახდეს“. „სანუგეშო მოსაზრებანი“, რომლებიც ბუჰვალდმა ნიუ-იორკის „ჰერალდ ტრიბუნის“ გამოთქვა ტრუმენებისა და ლოურენსების „ღრმაზროვანი დასაბუთების“ პაროდიაა: „ჩვენ არ ვიცით, განახორციელეს თუ არა რუსებმა ის, რასაც ამბობენ. ერთადერთი, რაც ჩვენ გვაქვს, ეს არის მათი განცხადებანი... და თუ მათ ეს განახორციელეს, რას მოწმობს იგი? მათ შეუძლიათ გაუშვან ადამიანები კოსმოსში, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობით ვერ უზრუნველყვეს მოსახლეობა ბინებით... ჩვენ შეგვეძლო მიგვეღწია ამისათვის დიდი ხანია, რომ არა (ა) — დემოკრატები, (ბ) — რესპუბლიკელები (ამორჩევა შენი პარტიულობის საპირისპიროა)... ისინი შორს ვერ წავიდოდნენ, ჩვენი კონგრესის მსგავსი რამ რომ ჰქონოდათ... ჩვენ დიდი ხანია გიცოდით, რომ ისინი ემზადებოდნენ ამისათვის. ამიტომ სრულიადაც არ გაგვკვირვებია...“

ფელეტონ-პაროდიას რომ კითხულობს, ამერიკელი დასცინის ხელმოცარულ ავკაცებს. არა, ამერიკელს ასე ადვილად ვერ გააცრუებ. გახსოვთ, ორმოცდაჩვიდმეტ წელს რომელიღაც გენერალი ასაბუთებდა, რუსების თანამგზავრი მხოლოდ და მხოლოდ კოსმოსში გაშვებული რკინის ნატეხიაო? ახლა კი, ხედავთ, რას მიგაღწიეთ!

იგი ათვალიერებს ეს არის მიღებულ ჟურნალებს. „ლაიფის“ ყდაზე მხატვრული სურათია: წითელვარსკვლავიანი მძლავრი რაკეტა ვარსკვლავებით მოჭედილ უკიდეგანო ცაში მიფრინავს. „ტაიმის“ და „ნიუსუიკის“ ყდებიდან შემოგვიქქერიან კოსმოსურ-მუზარადიანი ვაჟკაცური სახეები. ამერიკელი ტელევიზორს რთავს. მოლიელიე ეკრანზე მოზეიმე ხალხის ზღვაა, ნიკიტა სერგეევიჩ ხრუშჩოვია, მამობრივად რომ ეხვევა ამ ვაჟკაცს კოსმონავტებს.

სულით და გულით გრძნობს ამერიკელი, რომ იგი დიადი ისტორიული მოვლენების თანამედროვე გახდა.

გ. ვასილიევი,
(საკადესი).

ნიუ-იორკი, 1962 წლის აგვისტო.

კომუნისტი

მე-2 გვერდი. კვირა,
26 აგვისტო, 1962 წ.



სლოვაკური ნოველა

გამოჩენილი ქართველი მწერლის კონსტანტინე ლორთქიფანიძის შემოქმედების მთავარი გმირი ჩვენი დრო და ჩვენი ცხოვრებაა... ახალი ადამიანი — აი ვის უმღერის მწერალი.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის ცნობილი რომანი „ალბეთის ცისკარი“ და მოთხრობები თარგმნილია ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე.

უკანასკნელ ხანს მწერალმა რამდენიმე ახალი მოთხრობა დაწერა, ძველი და ახალი ერთ წიგნად შეკრა და თავისი ერთ-ერთი ცნობილი მოთხრობის „მწვანე ღილის“ სახელი უწოდა. ამ კრებულის ავტორისეულ წინათქმაში ვკითხულობთ: „სხვადასხვა დროს დაიწერა ეს მოთხრობები, სხვადასხვაა მათი გარემო და გადასახედი, მაგრამ ყველას ერთი თემა — თოფიანი კაცის ცხოვრება ასაზრდოებს და სისხლით ანათესავებს.



ამიტომ შეიკრა ეს მოთხრობები ერთ წიგნად, ერთი სახელით და, შეიძლება, ერთი სიცოცხლითაც“.

ქვემოთ გამოქვეყნებული „ცისფერი დუნაიც“ ამ კრებულის ერთ-ერთი ნოველაა.

კრებულის გამოსვლამდე ავტორმა რედაქციის თხოვნით სიამოვნებით შესთავაზა „ცისფერი დუნაი“ „ლომუნისტის“ მკითხველებს.

კონსტანტინე ლორთქიფანიძემ ახლახან დაამთავრა აგრეთვე თავისი რომანის „ნატვრისთვალის“ მეორე ნაწილი, რომელსაც მალე ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომრებში გამოვაქვეყნებთ.

□ □

ვუცქერ ამ ცალხელა კაპიტანს და გულში ვამბობ: არ მიყვარს, როდესაც კაცმა ასეთი ჩუმი ძილი იცის. ასე მგონია, ჩემს გვერდით საწოლზე მკვდარი ასვენია.

ამ დალოცვილმა ერთი მაინც ამოიფშვინოს ან ტუჩები შეაცმაცუნოს... ან ეს თხელი-ხეწარი ასე უძრავად რამ გაყინა მძინარე კაცის გულმკერდზე.

საოცარია, ნუთუ შეიძლება ასე მშვიდად ეძინოს კაცს, ვისაც წისქვილის ყელში არ გაუვლია, თორემ სხვა არაფერი დაჰკლებია ამ ქვეყანაზე. გესტაპო, კატორღა, იქიდან გაქცევა და დეზერ-ვეეს ჭაობებში ხეტიალი. დრეზდენში იგი ხელმეორედ შეიპყრეს და სიკვდილი გადაუწყვიტეს.

ორი არგათენების ღამე გაათენა მიშო პამულამ იმ საკანში, საიდანაც მხოლოდ იმიტომ გამოდიან, რომ მერე აღარსად აღარ შევიდნენ. არასოდეს.

დრეზდენში იგი შემთხვევით გადაურჩა ჯალათის ნაჯახს.

სწორედ იმ ღამეს, როდესაც ციხეში განაჩენი უნდა აღსრულებულიყო, ამერიკის თვითმფრინავებმა დრეზდენი მიწასთან გაასწორეს.

ასე უწყალოდ ჯერ არც ერთი ქალაქი არ დაბომბა მოკავშირეთა საჰაერო არმადას.

შავი დღე დაადგა საკანში გამოკეტილ პატიმრებს. ბევრი მათგანი ციხის ნანგრევებში ჩაიქოლა ან გაკვამლულ საკანში გაიგუდა. გადარჩნენ მხოლოდ ისინი, ვისაც აფეთქების ტალღამ რაღაც ბედად საკნის კარი შეუგლიჯა და გზა გაუხსნა.

პატიმრებმა (მათ შორის მოხვდა მიშო პამულაც) არევ-დარევით ისარგებლეს და თავს უშველეს.

ახლა ეს ცხრაკლიტულიდან გამოსული კაცი სიძველეთა დაცვის კომიტეტში მუშაობს და ღამე თავის საწოლში ისე უშფოთველად სძინავს, თითქოს ამ ცოდვილ მიწაზე ძველი ჩამონგრეული კედლების შეკეთების მეტი არა გაუკეთებია რა.

არ დამეძინა.

ჩუმად ჩავიცვი და ეზოში გავედი თუ არა, ცხვირში მეცა თევზისა და სველი ბადეების სუნი.

პატარა მთის შტოზე შეფენილ სოფელში დუნაელი მეთევზეები ცხოვრობენ. თევზის ჭერის დროა. საითაც არ გაიხედავ, გასაშრობად გაკიდებულ ბადეს დაინახავ. ნაშუადამევს სოფელი ისევ წამოიშლება, ვეება დორანებში ნავებს შეაცურებენ და ისევ წამოვა მდინარიდან გულისგამბობი სევდიანი სიმღერა:

ცისფერი დუნაი, ცისფერი დუნაი!
ნუთუ მართლა ცისფერია იგი...
— ყველაფერი ცისფერია, ჩემო კარგო,
როცა გულში სიყვარული მღერის.

სოფლის ბოლოში, სადაც დუნაის შავი მორავა ერთვის, მაღალ კლდეზე ზვიადად აღმართულა დევნის ციხე-დარბაზი. დღესავით ნათელ ღამეში თეთრი ფიქალის კოშკებს მომწვანო ფერი დაჰკრავს. ეს ფერი სავსეა დარდის მომგვრელი იდუმალებით.

— ამ ციხეში დაატყვევეს ავსტრიელებმა პალესტინიდან სამშობლოში მიმავალი მეფე რიჩარდ ლომგული! — მითხრა ამ დილას ჩემმა მასპინძელმა, როდესაც დევნის ნადარბაზევს ვათვალიერებდი.

სლოვაკიაში ბევრია საშუალო საუკუნეების ციხე-დარბაზები, სასახლეები, სამლოცველოები. ზოგი ყამთა სიავეს გადარჩენია, მაგრამ თუ სადმე გალავანზე ქონგური ჩამონგრეულა, გოდოლი გაბზარულა ან თაღი ჩაშლილა, მზრუნველ ხელს ყველაფერი ისევ აღუდგენია და გაუახლებია.

ერთხელ, როდესაც ჩვენმა ყავისფერმა ტატრამ ორავას ციხის კარიბჭესთან მიმაქროლა, მისმა სილამაზემ ძველი ჭაბუკური ოცნება გამიღვიძა, რაინდული წიგნების რომანტიკიდან გამონაყოლი.

იმ წუთში თითქოს ყურში ჩამესმა, როგორ აყღრიალდნენ ვეება რგოლებისაგან შეკრული ჯაჭვები... სადაც არის წყლით სავსე ხანდაზე ასაწევი ხიდი დაეშვება და თორაბაჯრიანი მეციხოვნეები სადარბაზოდ მიმიწვევენ შორი გზიდან მომავალ მგზავრს...

გარეგნულად აქ ბევრი არაფერი შეცვლილა საუკუნეთა მანძილზე. და რომ ქვევიდან ხოკოსავით პატარა ტრაქტორის დაგადუგი არ ისმოდეს, მე არ გამიკვირდებოდა, რომ უეცრად ამ გალავანთან ბუკის ცემა და ჯვაროსანთა ცხენების ფრუტუნი გამეგონა.

მაგრამ ზარადიანი მასპინძლის მაგივრად ჩვენ შეგვეგება ერთი გამხდარი, გულჩავარდნილი, მელოტი კაცი,— როგორც გამოირკვა, სამხარეო მუზეუმის თანამშრომელი. მისმა მოსაწყენმა ხუხუნმა (ტურისტებისაგან გულგაწყალებულ კაცს მეტი ხალისი არც მოეთხოვება) ჩემი ჯვაროსნები მყისვე გაფანტა.

...კაშკაშებს დუნაის ღამე. აქედან მხოლოდ მდინარის ერთი ტოტი მოჩანს. მთვარის შუქით გაჯერებული წყალი ისე ბრწყინავს და ლაპლაპებს, რომ აღარ ვიცი, ეს მდინარეა თუ ვიღაც გოლიათ რაინდს ვერცხლის ქამარი დარჩენია ამ ციხის ძირში.

ეს ძველი ციხე-დარბაზები სწორედ ამ ცალხელა კაპიტნის ძებნაში მოვინახულე. პამულა ხუროთმოძღვრად მუშაობდა სიძველეთა დაცვის კომიტეტში. იმჟამად ფეოდალური კოშკების აღწერა უნდა მოეხდინა, აღმადგომა დაჰქროდა სლოვაკიის მთაგორებზე, და მეც მთელი ორი კვირა გზაზე ვიყავი გაკრული. ბოლოს, როგორც იქნა, პამულას დევნში მივუსწარი.

...მე თვითონ ომში ნამყოფი კაცი ვარ და ერთი რამ კარგად ვიცი: გაჭირვების დროს ჯარისკაცებმა ერთმანეთის გატანა და მხარში ამოდგომა რომ იციან. ზოგჯერ ისეთ ძმობას ერთი დედმამიშვილები ვერ გაუწევენ ერთმეორეს.

მაგრამ ის, რაც წუხელ პამულამ მიამბო...

სიცოცხლე მიხარია, ასეთ ამბავს რომ გავიგონებ. მაშინ ადამიანიც უფრო მიყვარს და ღრმად მჯერა, ბნელი ძალები ამ ქვეყანას ასე ადვილად ვერ დაანგრევენ.

და ჩემი გულიც ჩუმად იმეორებს იმდამინდელ სიმღერას:

ცისფერი დუნაი, ცისფერი დუნაი!
ნუთუ მართლა ცისფერია იგი...
— ყველაფერი ცისფერია, ჩემო კარგო,
როცა გულში სიყვარული მღერის.

აი ეს ამბავი

სექტემბრის ერთ ღამეს ჩერქეზეთში მდინარე ფსექუფსის ბორანთან ორი სლოვაკი ჯარისკაცი — ყოფილი მასწავლებელი იანო იანიგა და მისი თანასოფელი მეზედელი ფრანტიშეკ სოვიარი ტყვედ დანებდნენ ქართველ მზვერავებს.

მეგობრებმა ბევრი იდავეს და ითათბირეს, სანამ ამ ნაბიჯს გადადგამდნენ.

გერმანელი ფაშისტები სლოვაკებს ბრძოლაში არ ენდობოდნენ. სლავი სლავს თოფს არ ესვრისო, არცთუ უსაფუძვლოდ ფიქრობდნენ ისინი. ამიტომ გენერალ ტურანეცის დივიზიამ სამი ათასი კილომეტრი ტატრას მთებიდან კავკასიონის ქედამდე ისე გამოიარა, ერთი ბრძოლა არ გადაუხდია.

სანამ სლოვაკები რუსეთის მიწაწყალზე იმყოფებოდნენ, ისინი მხოლოდ და მხოლოდ სადარაჯო სამსახურს ეწეოდნენ. გუშაგად ედგნენ ტყვია-წამლის საწყობებს, რკინიგზის ხიდებს... ხანდახან ტყვეებს შორეულ ბანაკებში მიაცილებდნენ. ერთხელ სლოვაკების ოთხივე პოლკი პურის სამკალად გაგზავნეს სადღაც როსტოვის მახლობლად.

მაგრამ როგორც კი ომის ცეცხლი კავკასიონს მიუახლოვდა. სლოვაკები დაუყოვნებლივ ბრძოლაში ჩაბეს, — მოძმე სლავების ქვეყანა უკვე გავლილი იყო, — „წინ კი, ამ ქედის გადაღმა“, სწერდა იმ დღეებში ჰეგელსი: „კავკასიის ველური ტომები ცხოვრობენ, ისინი სლოვაკებს არც სისხლით და არც სულიერი ცხოვრებით არ ენათესავებიანო“.

გერმანელებმა აქაც ჭკუაში წაგეს.

აგვისტოს დამლევს სლოვაკებმა ტუაფსეს მიდამოებში ნომარ-ნარბევი გერმანელები შეცვალეს და ალპური რაზმების „ედელვაისის“ სანგრები დაიკავეს.

გზაში ბევრი სიმწარე იგემეს. აგვისტოს პაპანაქებაში ქვეითად გამოიარეს თამანის დახრუკული ველები ყამიშ-გირლიანის ლიმანიდან ტუაფსეს უღელტეხილამდე.

ქარიანი ზაფხული იყო. ასეთმა ზაფხულმა დიდი ალხი და ხორშაკი იცის თამანის ნახევარკუნძულზე. ხეზე ფოთოლი ისე გაფიცხდება, თუნუქის ნაჭერს დაემსგავსება.

წყურვილისაგან გახელებული ჯარისკაცები ნარუალს რომ დაინახავდნენ, გაგიჟებული მისკენ მირბოდნენ, იქნებ სადმე ფსკერზე პატარა გუბე იყოს დარჩენილიო.

წყალი არა და, ცხელ ქვაზე დახვეული მცურავი ბევრი იყო დამშრალი მდინარეების კალაპოტში.

გულისწამლებად ჭრიალებდნენ ფორნების გაუპოხავი ღერძები. ბუღში გამდგარიყო ცხენის ოფლისა და მწარე აბზინდას სუნი. „ლოს! ლოს!“* ხრინწიანად გაჰყვიროდნენ გერმანელი ზედამხედველები და ალხისაგან თვალებდაწითლებულ სლოვაკებს უღელტეხილისაკენ მიერეკებოდნენ.

ალაგ-ალაგ გზის პირას ქარისაგან დაღრეკილი ჯუჯა ცაცხვი იდგა. მისი ჩრდილი აბა რა დიდი ქონება იყო, ჯარისკაცი მაინც მისკენ მიიწევდა, იმ ხის ძირში მალულად ნაბიჯს შეანელებდა, ცოტას თვალში გამოიხედავდა.

მთელი კვირა მოანდომეს ამ დამქანცველ ლაშქრობას. ბოლოს როგორც იქნა, ცეის ხეობას მიაღწიეს და ტყეს შეეფარნენ.

ხეობაში გრილოდა, სასმელი წყალიც იშოვებოდა. ჯარისკაცები მოსულიერდნენ, ნეშოთი მოფენილ გზაზე ყოჩაღად მიაბიჯებდნენ, მაგრამ ეს ტყეც მალე გათავდა, სლოვაკების თავზე ფრიალო კლდეები წამოეყუდნენ. მათი ნამდვილი ჭაპან-წყვეტა ახლაღა დაიწყო. აღმართი დაღმართს გადაება, ხევი ხევს გადაეხლართა, გზა დავიწროვდა... მთიანეთში ლაშქრობას მიუჩვეველი ჯარისკაცები ძლივს მიბობღავდნენ თოკივით დაკიდებულ ბილიკზე.

ზოგან ბილიკს ლომი და წერაქვი დაჰკრეს და სამთო ზარბაზნები ხელით აიტანეს ციცაბო ფერდობებზე. რამდენი მკლავნაღრძობი, მუხლგატეხილი ჯარისკაცი საექიმო დახმარების მოლოდინში ჩუმად კვნესოდა გზის პირას... ხრინწიანი „ლოს! ლოს!“ კი ყოველი ფეხის გადადგმაზე ისმოდა, თითქოს ეს ვეება ლოდებიც ამ საძულველ სიტყვას იმეორებდნენ.

ლაშქრობაში დაღლილ ჯარისკაცს არაფერი ისე არ ეჯავრება, როგორც მუზარადი, სასანგრე ნიჩაბი და აირწინაღი. მთაზე ასვლის დროს ამ ნივთებმა საოცრად მალე იციან წონაში მომატება. პატარა ნიჩაბი ნახევარ საათში ისე დამძიმდება, თითქოს წელზე წისქვილის ქვა გეკიდოს.

იმ დასაწვავ აირწინაღს კი კაცის ტანზე ერთი ადგილი ვერ უპოვნია. ხან უკან გადაცურდება, ხან კიდევ ნამეტანი წინ წამოვა და ნაღველას გაგისივებს. ტყეში შეხვალ — უეჭველად ტოტს წამოედება. წყალს დაეწაფები — შენზე უმალ წყალში ის ჩავარდება.

ყველაზე პირველად ფრანტიშეკ სოვიარმა მოიხადა თავზე წამომხობილი მუზარადი და ბუჩქებში ისე კოხტად შეაგორა, თითქოს სოფელში კეგლს თამაშობდა. მალე ნიჩაბიც და აირწინაღიც მიაყოლა.

ფრანტიშეკს არც სხვები ჩამორჩნენ. „ზედმეტი“ ტვირთი ნელანელა მოიხსნეს და ხევში გადაუძახეს. ათეულში მხოლოდ ერთი კაცი დარჩა, ისევ ისე სრულად აღჭურვილი რომ მიბორდღავდა ფერდობზე. ეს იყო ყოფილი მასწავლებელი იანო იანიგა. ჩამქრალი ჩიბუხი პირში გაერჭო და დოღის ცხენივით ჰქელავდა.

ფრანტიშეკმა მუჯლუგუნი წაჰკრა.

— სახელმწიფო ქონება გენანება, მასწავლებელო?

იანიგამ თავი მოაბრუნა. უსაშველოდ დაღლილმა კაცმა ერთბაშად ხმა ვერ ამოიღო და მეგობარს მკრთალად გაუღიმა. ამ ღიმილმა ტუჩებიც კი ვერ გაუხსნა იანიგას. კაცი წაქცევაზე იყო, იმ ეშმაკის ნახელავს მაინც არ ეშვებოდა.

— გადაყარე, რაღას უცდი! თუ გეშინია, ჰიტლერი გაღარიბდება?

— ვერ გადავყრი, ფრანტიშეკ! — ჩუმად მიუგო იანიგამ. საჩვენებელი თითი ოფლიან ულვაშზე დაისვა, მერე თითი დაიქნია და შარვალზე შეიწმინდა. — ვინ იცის, ეს ჩემი ბარგი-ბარხანა სად გამომადგება! ამ პატარა ნიჩაბმა ერთხელ შეიძლება სიცოცხლე მაჩუქოს. ვათრევ, სანამ შემეძლება, იქნებ ომის დამთავრებას მოვესწრო...

ფრანტიშეკმა ნელა დაუსტვინა.

— კი მარა, ეს შენი ჰიტლერი ომის დამთავრებას რომ აღარ აპირებს?! ხედავ, სად მოგვრეკეს!

— ვხედავ.

— ამბობენ, კავკასიას რო[illegible] დაიპყრობენ, მერე ინდოეთზ[illegible] გაილაშქრებენო.

— ინდოეთი შალიან მეშორება, ჩემო ფრანტიშეკ, მაგრამ რას იზამ! ძალა აღმართსა ხნავს.

ფრანტიშეკმა მათარიდან წყალი მოსვა.

— გინდა?

იანიგამ თავი გააქნია, არ მინდა, აქაური წყალი უფრო მაწყურებსო.

— მაშ რა გინდა, ომის დამთავრება, სხვა არაფერი? იანიგამ ჩაიცინა.

— სხვა არაფერი.

— ნუ იცინი. პირდაპირ მითხარი, მართლა გინდა თუ არა!

— თავი გამანებე.

— მე არ გეხუმრები, ბიჭო. ყური დამიგდე, — ფრანტიშეკმა ოფლად გახეთქილ მეგობარს ხელი შეაშველა და ყურში წასჩურჩულა: — წუხელ სამი კაცი კიდევ გადასულა რუსების მხარეზე.

იანიგამ ხმა არ გასცა. მხოლოდ თვალებზე კი შეეტყო, უძილო ღამეებს მის გულში არაერთხელ გაუბამს ეს მაცდური ფიქრი.

— გაბედეს და ომიც დაამთავრეს! — ისევ აჩურჩულდა ფრანტიშეკი, — ჩვენ კი რაღას ვუცდით, მასწავლებელო შენ მართლა ხომ არა გგონია, რომ ეს სათამაშო ნიჩაბი გიშველის!

იანიგას გრძელი, გამხდარი კისერი წინ წაეგდო და დეკას გამწარებული ებღაუჭებოდა, რომ მაღლა ასულიყო.

მერე სული მოიბრუნა და სთქვა:

— უნდა მოვიფიქრო, ფრანტიშეკ. ასე უცბად ვერ გადავწყვეტ.

— ეჰ, სანამ შენ მოიფიქრებ და ხმას ამოიღებ, ჩვენ ამ დასაქცევ მთებში საფლავს გაგვითხრიან, აი სწორედ მაგ ნიჩბით!

— მერე სანანებლად არ გაგვიხდეს!

— გეშინია?

— მშობლები მეცოდება, ბიჭო! მე რომ აქედან გავიქცე, ტისოს ჟანდარმები საწყალ ბებრებს ხელს მოუსვამენ და ციხეში ჩაჰყრიან!

— სხვა გზა რომ არა გვაქვს? რუსებთან სადავო და გასაყოფი ჩემს მამა-პაპას არაფერი ჰქონია და მე რა უნდა მქონდეს! თუ შემთხვევა მომეცა, ისე გავიქცევი, უკან არ მოვიხედავ. შენც გამომყე, მასწავლებელო. ხუ გეშინია, მთელ სლოვაკიას ციხეში ვერ ჩასვამენ.

ჩვიდმეტ სექტემბერს ფრანტიშეკ სოვიარი და იანო იანიგა ტყვედ დანებდნენ გენერალ ლესელიძის მზვერავებს.

ფრანტიშეკი ბატალიონში საუკეთესო მენაღმედ ითვლებოდა. იმ ღამეს იგი მდინარე ფსექუფსზე ბორანის დასანაღმავად გაგზავნეს. ფრანტიშეკმა მეთვალყურედ ყოფილი მასწავლებელი წაიყვანა.

წავიდნენ და წავიდნენ. კავკასიონის კლდე-ღრეებში ადვილად დაიკარგნენ. მაშველმა ჯგუფმა მეორე დღესვე დაუწყო ძებნა... ისინი კი ამ დროს გენერალ ლესელიძის ბლინდაჟში ნაბადგადაფარებულ ტახტზე ისხდნენ. ფრანტიშეკ სოვიარი ცხელი ჩაით პირს ითუთქავდა და სულშეტაცებული ქაქანებდა, სლოვაკებს ომი არ უნდათო. იანიგა უფრო თავდაჭერილი იყო, სანამ გენერალი რამეს არ შეეკითხებოდა, ხმას არ ამოიღებდა.

ლესელიძემ სთქვა:

— შენ ამბობ, ომი არ უნდათო.. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ზღვა ხომ კოვზით არ დაილევა, ჩემო ძმაო! რატომ ეგრე თითო-ოროლად გადმოდიან! წვეთ-წვეთად!

ფრანტიშეკმა ამოიოხრა,

— გერმანელებმა ხალხი შეაშინეს, პან გენერალო! გასულ კვირას ერთი ფილმი გვიჩვენეს...

— ვიცი. როგორ ხვრეტენ კომუნისტები საწყალ ტყვეებს!

— დიახ, პან. საშინელი სანახავი იყო. მერე მოხსენება წაგვიკითხეს. დაჭრილებს, ჯანმრთელებს, ბრალიანსა და უბრალოს, ყველას ხოცავენო! ბიჭებზე ძალიან იმოქმედა...

— გასაგებია, — სთქვა ლესელიძემ — მაშ ჯერ სლოვაკები უნდა დავარწმუნოთ, რომ ეს ყველაფერი საბიზღარი სიცრუეა. ამას კი თქვენზე უკეთესად სხვა ვინ გააკეთებს, ბატონო მასწავლებელო! — პირდაპირ ჰკითხა ლესელიძემ ენაზე კბილდაჭერილ იანიგას: — ჩვენში ხალხი მასწავლებელს უფრო ენდობა, ვიდრე, მაგალითად, მღვდელს!

— მასწავლებლის სიტყვას ჩვენშიაც დიდად აფასებენ! — ფიცხად წამოიძახა ფრანტიშეკმა.

— ხედავ? — სთქვა ლესელიძემ.

იანიგამ წარბი შეიკრა და პირგაბადრულ მეგობარს ალმაცერად გადახედა. „უბედო! ვითომ საქმე გამიკეთა!“ — გაიფიქრა მან.

იგი მამინვე მიხვდა, სად უკაკუნებდა გენერალი, მაგრამ სიტყვა არ წამოსცდენია. როდის იყო, გალმა გასული კაცი ისევ ბეწვის ხიდს დაეძებდა.

ამ დილას, როდესაც ისინი პურის საჭმელად სასადილოში შეიყვანეს, ფრანტიშეკმა ჩექმის ყელიდან ხის კოვზი ამოიღო და ხელში შეათამაშა.

— დღეიდან, ჩემო იანო, ძირს ყველა იარაღი, აი ამის გარდა! — შესძახა მან და ორთქლიან ქვაბს მიუჯდა.

ძირს! ძირს! ძირს! — აზრიალდნენ სამზარეულოში თეფშები და დანა-ჩანგლები.

მასწავლებელმაც ჩუმად ჩაიხვიხვინა. დაიწყო ახალი ცხოვრება. უთოფოდ. უსისხლოდ. მაშ ახლა ამ გენერალს მისგან რა უნდა, რას უარაკებს?

— ნუ ღელავ, მასწავლებელო! ჩვენ ძალას არავის ვატანთ! —ლესელიძემ ზეზე წამოვარდნილ იანიგას მხარზე ხელი დაადო და თვალებში შეხედა: — ოღონდ იცოდე, თუ შენ შენი ქვეყნის ბედი გაფიქრებს, ჯერ თოფს ხელი არ გაუშვა!.. ახლა კი წადით, დაისვენეთ. ხვალ კიდევ ვისაუბროთ!

ჩამოფლეთილი, წვერგაბანჯგლული იანო იანიგა პანტის ტყეში იპოვეს გერმანელებმა. დაკითხვაზე მან განაცხადა, თორმეტ ოქტომბერს გერმანელ ფოგელთან და სლოვაკ სოვიართან ერთად რუსების ტყვეობიდან გამოვიქეცი, გზაში კაზაკები შეგვეფეთნენ, ამხანაგები მომიკლეს, მე კი რაღაც სასწაულად გადავრჩი, მაგრამ ტყეში გზა დამებნა — მესამე დღეა, უგზოუკვლოდ დავეხეტები და მწარე პანტას გეახლებითო...

იმავე საღამოს იანიგა საველე ჟანდარმებმა დაჰკითხეს. ტყვეობიდან გამოქცეული ჯარისკაცის ნაამბობს ვერავითარი გზარი ვერ უპოვნეს დამკითხველებმა. იანიგას დაუჯერეს.

გავიდა ორი კვირა. ერთ დღეს საბჭოთა საინფორმაციო ბიურომ გაზეთებში გამოაქვეყნა: „ტუაფსეს ჩრდილოაღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა მოწინააღმდეგის გააფთრებული კონტრიერიში მოიგერიეს. ამ ბრძოლების დროს ტყვედ დაგვნებდა სლოვაკი ჯარისკაცების ერთი ჯგუფი პოდპორუჩიკ პეტერ მლინეკის მეთაურობით“...

ეს იყო იანიგას პირველი გამარჯვება.

ძნელი რამ დაავალა ლესელიძემ სლოვაკ [illegible]ებელს, მაგრამ იგი არჩევანში არ [illegible] ნიგა ყოჩაღი და მოხერხებული კაცი გამოდგა.

დაბრუნდა თუ არა ნაწილში, საომედო ხალხი შემოიკრიბა და მცირე ხანში ორას ორმოცი ჯარისკაცი და სამი ოფიცერი გადაიყვანა წითლებისკენ.

მაგრამ ერთხელ სანგარში, [illegible] ულის ჯარისკაცებს ესაუბრებოდა, [illegible] რმა ჩათარმამ* ბაუმამ რაღაც [illegible] ნიგას უთხრა:

— აბა ერთი ყმაწვილო, ადექი და წინ გამიძეხი!

— სად უნდა გაგიძღვე! —ჰკითხა იანიგამ.

ჩათარი ბაუმა ავკაცს არა ჰგავდა. ჩუმი კაცი იყო, ცოტა გულჩათხრობილი, შეიძლება იმიტომ, რომ სოფელში ახალნაქორწინევი ცოლი დასტოვა, ან შეიძლება ომმა სულთამგან დასცალა..

ცოლი კი მართლაც ძალიან უყვარდა. ერთხელ პოლონეთში ბაუმა, იანიგა და სოვიარი რესტორანში ვიღაც ქალებს გადაეკიდნენ და ღამის გასათევად შინ წაჰყვნენ. გზაში უეცრად ბაუმამ რაღაც მოიმიზეზა და ამხანაგებს ჩამოშორდა. ნაშუადამევს ნაწილში დაბრუნებული იანო და ფრანტიშეკი უცნაურ ამბავს წააწყდნენ.

ოთახში მაგიდასთან მთვრალი ბაუმა იჯდა, წინ ცოლის სურათი დაედო და გულამოჯდარი ლუღლუღებდა: „ხედავ, მარიკა, როგორი ვარ, ხედავ! ვერც მარჯვნივ გამიხვევია, ვერც მარცხნივ... შენ კი ჩემთვის ერთი ნაკუწა ქაღალდი გენანება, შე უღმერთო!“

არ ეგონა მასწავლებელ იანიგას, რომ იგი რაიმე სისაძაგლეს ჩაიდენდა, მაგრამ კაცის გულს ვინ გამოიცნობს!

ბაუმამ ისევ ჩაახველა, მერე განზე მიიხედა და სთქვა:

— წამოდი და კაპიტანს მოახსენე, რუსებს სული რამდენად მიჰყიდე!

სანგარში მყოფი ჯარისკაცები გაისუსნენ.

იანიგას ფერი ეცვალა. წყნარად უთხრა:

— არაფერი შეგეშალოს, ბაუმა!

— ჩუმად, მოღალატევ! მომეცი თოფი! — ხმა შეიმაღლა ჩათარმა და მასწავლებლისაკენ გაიწია..

იმავ წამს სანგარში თოფი გავარდა. შუბლგახვრეტილი ჩათარი ბაუმა მიწაზე დაეცა და იქვე გათავდა.

მოვარდა მორიგე ოფიცერი.

— ვინ ესროლა?

ხმა არავინ გასცა.

— ბატონო პორუჩიკო, — სირბილისაგან გულამოვარდნილი მამასახლისი თვალებს დასაკლავ ხარივით აბრიალებდა: — ჩვენ იარაღი ამ დილით გავწმინდეთ. ყველა თოფი ზეთიანია, მხოლოდ ერთი...

— მაშ რაღას უყურებ! დააწყვე ეს ძალლიშვილები და თოფები გაუსინჯე!

— მესმის! — დატრიალდა მამასახლისი, მაგრამ აქ ისეთი გაუგონარი ამბავი მოხდა, რომ იგი კინაღამ ჭკუაზე შეიშალა...

ომის წესი ასეთია, ზოგჯერ ერთ უღელში უნდა შეაბას პატიოსანი და ღვთისგარეგანი, ლაჩარი და ამირანი.

აქაც, ამ პატარა სანგარში, გვერდი-გვერდ ცხოვრობდნენ სხვადასხვა რწმენისა და მიდრეკილების,

სხვადასხვა შეძლების,

სხვადასხვა ასაკისა და ხელობის ადამიანები...

გაისმა ბრძანება თუ არა, ჯარისკაცებმა ერთმანეთს გადახედეს, მერე თოფებს ხელი დაავლეს და ჩუმად დაეწყვნენ.

მარჯვენა ფრთაზე, როგორც ყოველთვის, ზორბა ტანის ჯარისკაცი, ბრატისლაველი მედუქნე იოჟკო გარანი აისვეტა.

გარანს მაშინვე გვერდში ამოუდგა მისებრ ტანშედგმული ჭაბუკი, დუნაელი მეთევზე პეტერ ივანჩო. მერე დადგა ეკლესიის ორლანზე დამკვრელი, ქოსა კაცი ირჟი ზვარა.

მთიელი გლეხები, წერაკითხვის უცოდინარი ძმები ორშანები მეოთხე და მეხუთე იყვნენ. ათეულში ყველანი ძმების თამბაქოს ეწეოდნენ. წერილის დაწერაში მათგან მისაგებელს იღებდნენ.

მეექვსე იყო ქალაქ კოშიცეს ლუდხანის მეჭაშნიკე ფრანტიშეკ კალინჩაკი.

მეშვიდე — შვაბელი ფერმერის მოჯამაგირე სტეფანე ბილიაკი, ერთი ხეძგერია ბიჭი, საჯარიმო ბატალიონის პირველი კანდიდატი..

მერვე — სანოტარო კანტორის მოხელე ალბერტ ნოვაკი. ამ ბეჩავ კაცს უფროსების არგაგონება ყველაზე დიდ ცოდვად მიაჩნდა.

მეცხრე — მდიდარი ვაჭრის შვილი პავლე გურბანი. პოლკში ყველას უკვირდა, რომ მამამისმა ხაზინაში სასყიდელი არ შეიტანა და შვილი სამხედრო სამსახურისაგან არ დაიხსნა.

მეათე — ღამის რესტორნის კელნერი დუშან ბელა. იგი შიშისაგან ისე იყო დალეული, ეკლესიის შანდალში სანთელი რომ ჩარჩება.

მეთერთმეტე — ჩემი დღევანდელი მასპინძელი მიშო პამულა...

მწყობრში ყველაზე ბოლოს იანო იანიგა ჩადგა.

სხვადასხვა ჯურის ხალხი, სხვადასხვა რწმენისა და მიდრეკილების..

მაგრამ ამხანაგი საფრთხეში ჩავარდნილი რომ დაინახეს, ბევრი აღარ უფიქრიათ. სანამ მამასახლისი განძრევას მოასწრებდა, თოფები მაღლა შემართეს და ჰაერში დასცალეს. თორმეტმა თოფმა ერთად დაიქუხა ხეობაში.

ახლა წადი და იპოვნე, ვინ მოჰკლა ჩათარი.

სამხედრო-საველე სასამართლომ თორმეტივე ჯარისკაცს სამუდამო კატორღა მიუსაჯა. მხოლოდ ცოტა ანგარიში შეეშალა — სამი წელიც არ გასულა, საბჭოთა ჯარმა თერთმეტ კატორღელს ციხის კარი გაუღო.

— მე კი ციხიდან ადრე გავიქეცი და პარტიზანებს შევუერთდი. ეს ხელიც მაშინ დავკარგე, — დაასრულა ამბავი ჩემმა მასპინძელმა. — ახლა დავიძინოთ. ხვალ კალატოზები დავიბარე, ადრე უნდა ავდგე.

— მოიცა, თუ ღმერთი გწამს! ჩათარი ვინ მოჰკლა, ეს მაინც მითხარი.

— ეგ რა ბედენაა! მაგას ყველა იზამდა, — წაიბუტბუტა მან და პირისახეზე ზეწარი წაიფარა, — თუ კაცი ხარ, სინათლე არ დაგრჩეს!

ერთი-ორი წუთი ენაჩავარდნილი ვიწექი და პაპიროსს ხარბად ვეწეოდი. მერე ერთმა ფიქრმა საწოლიდან წამომაგდო. მასპინძელს თავს დავადექი, ჩუმად ჩავძახე:

— ის ჩათარი შენ მოჰკალი, პამულა! შენ...

პამულას ეძინა.

ოთახში ვეღარ გავჩერდი. არ მიყვარს, როდესაც კაცმა ასეთი ჩუმი ძილი იცის. ასე მგონია, ჩემს გვერდით საწოლზე მკვდარი ასვენია. თუმცა მიშო პამულას იმდენი უცნაური ამბავი გადახდომია, არც კი გამიკვირდება, ახლა ძილში რომ გაიპაროს.

მცხეთა
1962

* ლოს — მიდი! (გერმანულად).
* ჩათარი — ზემდეგი (სლოვაკურად).

ჰქვია გაფრენა და გამარჯვება

ლექსი იოსებ ნონეშვილისა. მუსიკა სანდრო მირიანაშვილისა



1. სამყარო თვალით დაუნახველი
კვლავ იმეორებს ვეფაცურ ძახილს.
ჩვენგან ყველაზე შორს
თქვენ ნახველით,
ამით ყველაზე ახლონი გახდით.

2. თქვენ განა მარტო სწავლულთა ჩვენთა
ავგარიგალეს კოსმოსის გულში?..
თქვენ ნათელს გფენდათ,
თქვენ მიგიფრენდათ
ხელები გლეზის, ხელები მუშის.

3. ქართული ზეცაც — ნათალი ბროლად,
მზით გაფანტული ღამის წყვდიადი,
კავკასიონზე არწივთა სრბოლა
და მყინვარწვერის მზერა ზვიადი.

4. სამყარო თვალით დაუნახველი
კვლავ იმეორებს ვეფაცურ ძახილს.
ჩვენგან ყველაზე
შორს თქვენ ნახველით,
ამით ყველაზე ახლონი გახდით.

5. თქვენ ცად აგტყორცნათ დიდმა ხელებმა
ხალხის ხელებმა, ხალხის მარჯვენამ.
ამ აზვირთებას, ამ გახელებას
ჰქვია გაფრენა და გამარჯვება.
დიდება!

ციურ ძმებს

ისინი ახლა ოთხნი არიან. მეცხრე ცოთითქოს ამ ოთხი ვეფაცის ამაყ მხრებს დაბჯენია... ეს სამაღლე ჩვენი სამშობლოს, ჩვენი საქმეების, ჩვენი მიზნებისა და ახდენილი ოცნების სიმაღლეა.

წელიწადნახევარში საოცრად გაიზარდა კაცობრიობის გადასახედი. დღევანდელი ადამიანის ფიქრსა და სახეზეაფს კოსმოსიც მიემატა. მხატვრები ხატავენ გმირ მეფრენდნებს, კომპოზიტორები „კოსმოსურ ბგერებს“ დაეძებენ, მთვარის დანახვა აღარ იწვევს მგოსანთა „წვასა და დაგვას“. ისინი სამშობლოს ცადატყორცნილ სიმაღლეს უმღერიან.

აი სწორედ ეს აღლი სიმღერები, გულით ნათქვამი ფრფილი ლექსები შეუკრავს გამომცემლობა „ნაკადულს“ ერთ ლამაზ, კოშკწიგნად — თაიგულად.

საქართველოს სახალხო პოეტი გიორგი ლეონიძე წიგნის წინათქმაში წერს: „გამარჯვებულ ციურ ძმებს — იური გაგარინს, გერმანე ტიტოვს, ანდრიან ნიკოლაევს, პაველ პოპოვიჩს, მათს შემმართებასა და საკვირველ გმირობას, მრავალი კარგი ლექსი მიუძღვნეს ქართველმა პოეტებმა. ეს ლექსები გამომცემლობა „ნაკადულმა“ აკინძა ცალკე წიგნად, რომელსაც მართლაც კოსმოსური სიჩქარით აწვდის მკითხველს“.

პოეტები თავიანთი თანამედროვეების სათქმელს ამბობენ, ჰეშმარიტსა და ნამდვილს:

რად უნდა ფიცი ან დამოწმება,
გზა გახსნილია და ასპარეზი.
ადამიანი არც გაოცდება
და მალე ისევ წავა მთვარეზე.

ამ კარგი კრებულის რედაქტორია პოეტი ხუტა ბერულავა. მხატვრები არიან დ. დუხდეა და ნ. მალაზონია.

გამომცემლობა „ნაკადულმა“ უკანასკნელ ხანს არაერთი კარგი წიგნით გაახარა მკითხველი. „ნაკადული“ ყოველთვის ცხოვრების კვალდაკვალ სიარულს ცდილობს, და ნამდვილად მოსაწონია, სასიამოვნოა გამომცემლობის ასეთი მუშაობა.

ციური ძმებ.ას ძღვნად აკინძული პატარა წიგნიც „ნაკადულის“ მჩქეფაია სიცოცხლეზე ლაპარაკობს.

მოკლედ მკითხველისთვის

☐ **ამ დღეებში ამბროლაურის რაიონის საზოგადოებრივობამ შეხვედრა მოუწყო საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახალხო არტისტს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს კომპოზიტორ დ. თორაძეს.**

დ. თორაძის შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ ილაპარაკა სახალხო თეატრის რეჟისორმა ლ. ტურძილაძემ. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ რაიონის ორგანიზაციების წარმომადგენლები. დასასრულ გაიმართა კონცერტი.

აკ. კერესელიძე.

☐ **კურორტ** საირმის კლუბში ხშირად შეხვდებით თბილისიდან, ქუთაისიდან, ჭიათურიდან, ბათუმიდან და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან საგასტროლოდ ჩამოსულ მსახიობებს, მაგრამ კურორტს ძირითადად მაინც მიიკუთვნის კულტურის სახლთან არსებული მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები ემსახურებიან.

ამას წინათ კულტურის სახლის მომღერალთა ანსამბლი, რომელსაც ჰ. ბუხაიძე ხელმძღვანელობს, ეწვია კურორტს და უფასო კონცერტი გამართა დამსვენებელთათვის.

თ. ლანჩავა.

☐ **ამას** წინათ ონის სპორტკავშირის საზოგადოების თავმჯდომარეს ა. მაისურაძეს დეპეშის გაგზავნის დროს ფოსტაში დახლზე დარჩა პორტფელი, რომელშიც იყო მამაკაცის ოქროს საათი, 200 მანეთამდე ფული და სხვა საბუთები. ფოსტის მუშაკმა მარგალიტა გოცირიძემ საბუთების საშუალებით მიაგნო პატრონს და პორტფელი ჩაბარა.

დ. ხახიაშვილი.

საბჭოთა ჩოგბურთელების მაგვანსარეგა

როგორც ვიუწყებოდით ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატში სხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად მიწვეული არიან საბჭოთა ჩოგბურთელები. ეს შეჯიბრება გაიმართება ნიუ-იორკის ახლოს ფორესტ ჰილსში.

გუშინ საბჭოთა ჩოგბურთელები — სსრ კავშირის ჩემპიონი ანა დმიტრიევა, ესტონელი თომას ლეიესი, ბაქოელი სერგეი ლიხაჩოვი და 17 წლის თბილისელი მოსწავლე ალექსანდრე მეტრეველი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრნენ.

შეჯიბრება ფორესტ ჰილსში დაიწყება 29 აგვისტოს და რამდენიმე დღეს გაგრძელდება.

ი. თ. ქორდანია

ტრაგიკულად დაღუპა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი, ძეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი იოსებ თედორეს-ძე ქორდანია.

პროფესორი ი. ქორდანია დაიბადა თბილისში 1895 წ. გამოჩენილი ქართველი მეცნიერის თედო ქორდანიას ოჯახში.

1915 წელს დამთავრა გორის კლასიკური გიმნაზია. შემდეგ შედის პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში, რომელსაც ამთავრებს 1923 წელს.

აკადემიაში მსმენელად ყოფნის პერიოდში ი. ქორდანია იმყოფებოდა წითელი გვარდიის სამედიცინო სამსახურის შემადგენლობაში, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღეებში მონაწილეობას იღებდა რევოლუციისათვის ბრძოლებში.

1930 წელს არჩეულ იქნა ლენინგრადის ი. პავლოვის სახელობის პირველი სამედიცინო ინსტიტუტის მეანობა-გინეკოლოგიის ინსტიტუტის კათედრის უფროს ასისტენტად. 1935 წელს მის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომებისათვის მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 1937 წელს დაიცვა დისერტაცია და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიენიჭა.

1938 წელს პროფესორ ი. ქორდანიას კონკურსით ირჩევენ ქალაქ კუიბიშევის სამედიცინო აკადემიის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის უფროსად, ხოლო შეთავსებით კუიბიშევის მეანობა-გინეკოლოგიის საოლქო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორად.

1942-დან 1947 წლამდე იგი მუშაობდა საბჭოთა არმიის მთავარ მეან-გინეკოლოგად, 1947-დან 1950 წლამდე ექიმთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის გამგედ.

1950-დან 1958 წლამდე მოსკოვის მეორე სამედიცინო ინსტიტუტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის გამგედ.

1947-დან 1958 წლამდე შეთავსებით მუშაობდა მოსკოვის მთავარ მეან-გინეკოლოგად, შემდგომ სსრ კავშირის ჯანდაცვის ხამინისტროს მთავარ გინეკოლოგად.

1958 წელს პროფესორი ი. ქორდანია მოწვეულ იქნა თბილისში ახლად დაარსებულ ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორად, სადაც მუშაობდა სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდამდე.

პროფესორი ი. ქორდანია სკკპ წევრი იყო 1942 წლიდან.

იგი იყო ავტორი 80-ზე მეტი სამეცნიერო შრომისა, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფიისა. მეანობის მისი სახელმძღვანელო მოკლე ვადაში განვლო ორ გამოცემულმა, თარგმნილ იქნა ოთხ ენაზე. ამ ორ ენაზე (ინგლისურ-ფრანგული) გამოცემულ ეროვნულ ენებზე. ეს სახელმძღვანელო ფართოდ გავრცელდა რესპუბლიკების მრავალ ენაზე. ამ დღეებში მოსკოვში კამოვიდა გინეკოლოგიის სახელმძღვანელო.

პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში მან მოამზადა 6 დოქტორი და 25 მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

სხვადასხვა პერიოდის განმავლობაში პროფესორი ი. ქორდანია იყო საკავშირო მეან-გინეკოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, რსფსრ და საქართველოს მეან-გინეკოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის მრავალტომეულის სარედაქციო კოლეგიის წევრი და ერთ-ერთი ავტორი, საკავშირო სამედიცინო აკადემიის სპორბლემო კომისიის წევრი და სხვ.

პროფესორი ი. ქორდანია მონაწილეობას იღებდა მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში. მის მიერ წაკითხული იქნა საპროგრამო მოხსენებები საერთაშორისო კონგრესებზე პრაღაში, ნეაპოლში. ტოკიოში, ამსტერდამში, სან-ფრანცისკოში, როდე-ჟანეიროში.

პროფესორი ი. ქორდანია არჩეული იყო საერთაშორისო სამედიცინო ორგანიზაციის ექსპერტად, საერთაშორისო სამედიცინო ნომენკლატურის კომისიის წევრად.

1962 წელს პროფესორი ი. ქორდანია არჩეულ იქნა ჩეხოსლოვაკიის პუტკინეს სახელობის სამედიცინო საზოგადოების საპატიო წევრად.

1962 წლის 15 მაისს პროფ. ი. ქორდანიას ინიციატივით თბილისში დაარსდა „ნაყოფიერებისა და უნაყოფობის“ რესპუბლიკური სამეცნიერო საზოგადოება.

1962 წლის 18 აგვისტოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის საბჭოთა მთავრობის მიერ იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორდენით და მედლებით.

პროფესორი ი. ქორდანია იყო გულისხმიერი, თავდაბალი, უაღრესად შრომისმოყვარე, დიდი მეცნიერი, შესანიშნავი ადამიანი და მოქალაქე.

მისი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მეგობრებისა და მოწაფეების გულში.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო
საქართველოს სსრ მეან-გინეკოლოგთა საზოგადოება
ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი

ნონა ემგზადება...

70 კილომეტრზე მოსკოვის დასავლეთით, ძველი ქალაქის ზვენიგოროდის ახლოს, ფიჭვებისა და არყის ხეების ჩრდილში გაფანტულია ათობით ორსართულიანი პატარა სახლები. ეს არის მოზეინკა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საგარაკო ქალაქი. აქ, ერთ-ერთ ულამაზეს ადგილზე მოსკოვის ახლოს, ზაფხულობით ისვენებენ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერები.

მოზეინკას რომ უახლოვდები, არ შეიძლება თვალი არ მოგტაცოს ნამდვილი რუსული ბუნების სილამაზემ. საოთაც გაიხედავ, ყველგან შიშვნისა და ლევიტანის გაცოცხლებული პეიზაჟებია. მერე რა სურნელება დგას, რა სიჩუმეა... დიახ, სიჩუმე და სიმშვიდე! ეს ერთნაირად საჭიროა დასვენების, ფიქრისა და გონებრივი მუშაობისათვის.

მოზეინკაში არ არის ჩვეულებრივი საკუთარტო ფუსფუსი, თავის მომბეზრებელი პატეფონები, მოყაყანე კომპანიები. ერთი სიტყვით, აქ ნამდვილი საგადრაკო სიჩუმეა. და ახლა აქ იმყოფება ქართული სპორტის სიამაყე, ქალთა შორის მსოფლიოს ჩემპიონის საგადრაკო გვირგვინის პრეტენდენტი — ნონა გაფრინდაშვილი.

საქართველოს საგადრაკო ფედერაციის თხოვნით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეურნეო სამმართველომ თავგანად დაუთმო ახალგაზრდა ქართველ მოგადრაკეს მყუდრო სახლი თავის საგარაკო ქალაქში.

მწვანეზე და ყვავილებში ჩაფლულ ამ სახლში ნონა გაფრინდაშვილთან ერთად დასახლდნენ აგრეთვე მისი მწვრთნელი და აღმზრდელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი მიხეილ შიშოვი, საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის საბელმწიფო მწვრთნელი გიორგი გაჩიჩილაძე და კონსულტანტი — გამოჩენილი საბჭოთა გროსმაისტერი დავით ბრონშტეინი, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონის წოდებისათვის სამატჩო თამაშის პირადი გამოცდილება აქვს.

როგორც ცნობილია, ივნისი და ივლისი ნონა გაფრინდაშვილმა თავის მწვრთნელებთან ერთად გაატარა ლესელიძის პანსიონატში შავი ზღვის პირას. იქ იგი ანალიზს უკეთებდა და სწავლობდა ყველა პარტიას, რომელიც წინა მატჩებსა და ტურნირებში უთამაშნია მის მომავალ მრისხანე მოწინააღმდეგეს ელისაბედ ბიკოვას. იქვე მან მთელი რიგი პრაქტიკული საწვრთნელი პარტიები ითამაშა ქართველ მოგადრაკესთან ბუხუტი გურგენიძესთან.

ეს იყო გენერალური რეპეტიცია გენერალური ბრძოლის წინ!

ნონას ორთაბრძოლა ბუხუტისთან დამთავრდა ანგარიშით... თუმცაღა ჯერ არ ვიტყვით, რა ანგარიშით, ეს „სპორტული საიდუმლოებაა“.

მთელი აგვისტო ნონამ გაატარა მოზეინკაში. პირველი დღიდანვე მან თავი შეაკავა აქაურ ხანდაზმულ მეცნიერებს. ერთი კვირის შემდეგ ყველანი „ჩვენს ნონას“ ეძახდნენ მას და, რა თქმა უნდა, ყველანი მისი „გულშემატკივარი“ გახდნენ.

თურმე აკადემიკოსებს ძალიან უყვართ ჭადრაკის თამაში. აქ მუდამ ეწყობა მოყვარულთა ტურნირები და მატჩები, მაგრამ ვერავინ ვერ ბედავს შეეკონოს ნონას. თუმცაღა გამოჩნდა ერთი თამამი —მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ბ. კიმი, რომელმაც გაბედა შებრძოლებოდა ქართველ ქალიშვილს, მაგრამ სასტიკად დაინაჯა. ნონამ რამდენიმე წუთში პირდაპირ „გაანადგურა“ იგი და ისიც ფიგურის ეფექტიანი შეწირვით.

— მე კი ჩემს კოლეგებს შორის ყველაზე ძლიერ მოგადრაკედ ვითვლები, — გაკვირვებული იყო მეცნიერი. მან ხელი ჩამოართვა ნონას და საზეიმოდ განუცხადა: განიცდები საგადრაკო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის წოდებას!..

— არა, ეს არ კმარა, — ღიმილით შენიშნა იქვე დამსწრე აკადემიკოსმა ე. ფედოროვმა, — ნონა ხომ მსოფლიოს ჩემპიონის წოდების პრეტენდენტია, ეს კი, ჩემი აზრით, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს მაინც უდრის!

ასეთია „გულშემატკივართა“ და მოყვარულთა აზრი, ხოლო აი სპეციალისტის აზრიც:

—ნონა გაფრინდაშვილი სპორტისათვის არის დაბადებული—ამბობს გროსმაისტერი დ. ბრონშტეინი. — შეხედეთ, სპორტის რა სახეს არ მისდევს იგი... აღარაფერს ვამბობთ მაგიდის ჩოგბურთზე — ამ თამაშში მას მოზეინკაში ბადალი არა ჰყავს, მასთან აგებს ყველა ადგილობრივი ჭაბუკი და ქალიშვილი. საინტერესოა, რომ რაღაც სამ კვირაში იგი აქ დაეუფლა... დიახ, დიახ, კი არ ისწავლა, არამედ სწორედ დაეუფლა სპორტის კიდევ სამ სახეობას — ნიჩბოსნობას, ბილიარდსა და „ჰულა-ჰუპის“ რკალს... მე ბილიარდის ცუდ მოთამაშედ როდი ვითვლები, მაგრამ გულახდილად გეტყვით, უკვე მიჭირს ნონასთან შეხვედრა მწვანე მაგიდაზე. თავის მწვრთნელს კი იგი სისტემატიურად უგებს ანგარიშით 8:1, 8:2... რაც შეეხება ნიჩბოსნობას, მოდით მდინარე მოსკოვზე ჩავიდეთ და თვითონ დაინახავთ... აქ ახლოს არის, სულ ორას ნაბიჯზეა, რეიმის განრიგების მიხედვით ნონა ახლა იქ უნდა იყოს...

და მართლაც, როგორც კი ნაპირზე გავედით, შუა მდინარეში დავინახეთ ნონა, სწრაფად რომ მიჰქროდა ნავი. ნიჩბები ახალგაზრდა სპორტსმენის ხელში პირდაპირ ელავდა. ისე დახელოვნებულა, რომ ოფიციალურ ბრძოლაშიც კი შეუძლია მონაწილეობის მიღება! ყოჩაღ, ნონა!

სპორტული ვარჯიშის ასეთი მრავალფეროვნება უთუოდ დიდად უწყობს ხელს ნონას კარგ ფიზიკურ მდგომარეობას და ეხმარება გონებრივ მუშაობაში. იგი ბეჯითად, სერიოზულად, დიდი გულმოდგინებით მეცადინეობს.

— მაგრამ უწინარეს ყოვლისა ნონა საგადრაკო სპორტისათვის არის დაბადებული, — განაგრძობს გროსმაისტერი. — მის თამაშში განსაკუთრებით მომწონს თანაბრობა. იგი ერთნაირი თანაბრობით თამაშობს პარტიის ყველა სტადიაში — დებიუტშიც, შუა თამაშშიც და ენდშპილშიც. იგი გატაცებული არ არის ეფექტიანი კომბინაციებით, რაც ბევრ ახალგაზრდა მოგადრაკეს ახასიათებს. ნონა კომბინაციაზე ან გართულებაზე მიდის მხოლოდ მაშინ, როცა ამას მოითხოვს მოცემულ პარტიაში შექმნილი საერთო სიტუაცია, თამაშის განვითარების საერთო მსვლელობა. მას ციტენტი არ ემუქრება. იგი ჩინებულად ხედავს დაფას და სწრაფად ერკვევა ურთულეს მდგომარეობაში.

რას ვფიქრობ მომავალ მატჩზე ბიკოვასთან? გულახდილად რომ გითხრათ, არ მიყვარს პროგნოზი. მაგრამ ერთს გეტყვით, ნონას ორი შესანიშნავი თვისება აქვს, რომლებმაც არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს ბრძოლის შედეგზე — ეს არის მისი სპორტული სიავე და... ოცი წლის ასაკი! მაპატიეთ, ვგონებ, მაინც გავაკეთე პროგნოზი...

ხოლო რას ფიქრობს თვითონ ნონა?

მე არაფერს არ ვფიქრობ, — ამბობს პრეტენდენტი, — მე ვიცი ერთი რამ: 16 სექტემბერს დაიწყება მატჩი და იგი უნდა მოვიგო... მე მოვალე ვარ გავამართლო ჩემი მშობლიური მხარის, ჩემი მწვრთნელებისა და ჩემი მრავალი მეგობრის ნდობა. ვთხოვთ გადასცეთ მათ ჩემი გულითადი სალამი.

სიამოვნებით ვასრულებთ ნონას ამ თხოვნას.

ი. გეგიაშვილი.

• • •

სურათებზე: ზევით — ნ. გაფრინდაშვილი სეირნობის დროს საკურორტო ქალაქ მოზეინკის ფიქვნარში; დასვენებას სპორტული პაექრობა მოსდევს. ქვეითა სურათზე თქვენ ხედავთ ნ. გაფრინდაშვილისა და მ. შიშოვის „ბრძოლას“ საჭადრაკო დაფაზე სახელმწიფო მწვრთნელს გ. გაჩიჩილაძის მეთვალყურეობით.

ავსტრალიელთა ჩოგბურთი უპირატესობით

ავსტრალიელი ჩოგბურთელები მსოფლიოში სახელმოხვეჭილები არიან. მათი თამაში გამორჩეულ მრავალფეროვნებით ტაქტიკით და, რაც მთავარია, მაღალი ტექნიკით.

გუშინდელი მატჩისადმი ინტერესი არ კავშირისა და ავსტრალიელ ჩოგბურთელთა შორის დიდი იყო, თბილისის „დინამოს“ კორტებზე მრავალმა მაყურებელმა მოიყარა თავი.

პირველად ცენტრალურ მოედანზე ერთმანეთს შეხვდნენ ქალთა ერთეულები ლეხეინი და ერმოლოვა. ბრძოლა თავიდანვე ლეხეინის უპირატესობით წარიმართა და პარტიაც მის სასარგებლოდ დამთავრდა — 6:0. მეორე პარტიაში ერმოლოვა ცდილობდა ბრძოლაში გარდატეხის შეტანას, მაგრამ გამოცდილი მეტოქის წინააღმდეგ ვერაფერს გახდა და კვლავ დამარცხდა — 1 : 6. შეხვედრის საერთო ანგარიშია 2:0 ლეხეინის სასარგებლოდ.

ყურადღების ცენტრში იდგა ხიუიტი — მძინარიშვილის ორთაბრძოლა. შეიძლება ითქვას, რომ მან გაამართლა მაყურებელთა მოლოდინი. როგორც პირველ ისე მეორე პარტიის დასაწყისში ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში თავი იჩინა ავსტრალიელი ჩოგბურთელის უკეთესმა სატურნირო გამოცდილებამ და გამარჯვებაც მას ხვდა ანგარიშით 2:0 (6:3, 6:4). აღსანიშნავია, რომ მეორე პარტიაში მძინარიშვილს თამაშიც მიჰყავდა 4:2.

ერთეულთა მომდევნო ორ შეხვედრაში წარმატება კვლავ სტუმრებს ხვდათ. შახტმა დაამარცხა აბაანდაძე, დავიდსონმა — ვერულავა. ორივე შეხვედრაში ანგარიში იყო 2 : 0.

საინტერესო გამოდგა ვაჟთა წყვილების ბრძოლა. ავსტრალიელების ხიუიტისა და დავიდსონის წინააღმდეგ თამაშობდნენ მოზერი და მძინარიშვილი. შეხვედრის შედეგია 6:4, 6:3 სტუმართა სასარგებლოდ.

დღეს გაიმართება სსრ კავშირისა და ავსტრალიელ ჩოგბურთელთა დასკვნითი შეხვედრები.

კაულ კერესის გამარჯვება

ბადრაკის მოყვარულებმა პ. კერესისა და ე. გელერის მატჩს ხავსებით სამართლიანად უწოდეს კიურასაოს გაგრძელება, რადგან ამ ორი გროსმაისტერის პაექრობას უნდა გამოეცხადებინა პრეტენდენტთა ტურნირში მეორე ადგილზე გამოსული.

უკანასკნელი მერვე პარტიის წინ ანგარიში იყო 3,5 : 3,5, რაც გარკვეულ უპირატესობას გელერს აძლევდა. კერესის წინაშე მეტად რთული ამოცანა იდგა. ცხადია, მას არ აკმაყოფილებდა ყაიმი, უნდა ეზრუნა მხოლოდ პარტიის მოგებისათვის.

და უნდა ითქვას ეს პასუხსაგები ამოცანა მან ბრწყინვალედ გადაჭრა. ინიციატივიანი, კომბინაციური და ეფექტური თამაშით შეძლო 28-ე სვლაზე მოწინააღმდეგე აიძულებინა თავი დამარცხებულად ეცნო.

დიახ, გელერმა მიულოცა კერესს არა მარტო ამ პარტიაში, არამედ მატჩის მოგება 4,5 : 3,5 და პრეტენდენტთა ტურნირში მეორე ადგილის დაკავებაც.

ჩოგბურთი

26 აგვისტოს 1962 წლის 27 აგვისტოს დილის 10 საათზე კავშირგაბმულობის სახლის კლუბში (ლ. უკრაინკას ქ. № 1) რუსთაველის პრსპ. № 12) მოწვეულია **საქართველოს კულტურის ძალთა დაცვის საზოგადოების II რესპუბლიკური ყრილობა.**

დღის წესრიგი:

1. საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს ანგარიში.
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. საზოგადოების წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
4. საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოსა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ

ᲙᲚᲐᲕᲐ ᲤᲠᲔ

ლაიფციგი, 25 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). ოთხი ქვეყნის — უნგრეთის, გერმანიის, დემოკრატიული რესპუბლიკის, იუგოსლავიისა და სსრ კავშირის ნაკალურთელთა გუნდები აიარ კონტინენტის ჩემპიონის ოქროს მედლების რეალური პრეტენდენტები. ოთხივე გუნდი ფინალში გავიდა. ჯერჯერობით საუკეთესო მდგომარეობა აქვთ ევროპის შვიდგზის ჩემპიონებს — უნგრეთის სპორტსმენებს. მათ დაამარცხეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი — 4:3 და იუგოსლავიის გუნდი — 3:2.

ჩვენს სპორტსმენებს კი აშკარად ბედი არ წყალობთ. იუგოსლავიის გუნდთან შეხვედრაში მათ უკანასკნელ წამებში დაკარგეს გამარჯვება — მატჩი ფრედ 3:3 დამთავრდა. სსრ კავშირის ნაკრები გუნდი კვლავ ფრე ანგარიშით — 2:2 დაამაყოფილდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წყალბურთელებთან შეხვედრაში.

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ

ᲠᲐᲓᲘᲝ

27 აგვისტო

პირველი პროგრამით

08.15 — მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხალხთა მუსიკა, 09.20 — ნაკვეთი: „კომუნისტის-დედა“, 12.00 — საუბარი: „სოციალიზმის ეკონომიური ძლიერება უდავოა“, 12.15 — კონცერტი დ. არაყიშვილის ნაწარმოებებიდან, 13.40 — საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის სიმღერის ანსამბლის კონცერტი, 17.20 — მოცარტი. დიგერტისმენტი, 17.40 — ლიტერატურული გადაცემა მოსწავლეთათვის, 18.05 — კონცერტი — „ნაცნობი მელოდიები“, 18.45 — ფრაგმენტები ბალეტებიდან, 19.15 — ს. ცინცაძე. მეორე სიმფონიური კვარტეტი, 19.40 — გადაცემა „მაღალ მთებში“, 20.30 — რადიოტურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“, 21.05 — თენგიზ ბიბილურის მოთხრობები, 21.35 — ა. შავერზაშვილი. ოპერა „მარინე“.

მეორე პროგრამით

21.00 — საუბარი: „ჩვენი გეგმები რეალურია“, 21.15 — ესტონური მუსიკა, 22.00 — ნაწყვეტები ი. ჭავჭავაძის მოთხრობიდან „ოთარაანთ ქვრივი“, 22.30 — შჩერბაჩენკი. სიუიტა კინოფილმიდან „ჭექა-ქუხილი“.

ᲤᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

26 აგვისტო

12.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 12.15 — მხატვრული ფილმი „არდადეგები ღრუბლებში“, 18.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.35 — გადაცემა „მეშახტის დღე“, 18.35 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.45 — საერთაშორისო მიმოხილვა, 20.00 — კინოვიქტორინა, 20.30 — კონცერტი მეშახტეთა თხოვნით, 21.00 — მხატვრული ფილმი „ცოდნა სჯობს ქონებას“.

27 აგვისტო

18.00 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.00 — გადაცემა — „სასწავლო-საწარმოო ბაზებს მეტი ყურადღება“, 19.15 — კინონარკვევი, 19.45 — გადაცემა — „თანამედროვე ფიზიკა და მედიცინა“, 20.00 — კვირის ამბები (რუსულ ენაზე), 20.15 — კინოჟურნალი, 20.25 — საესტრადო-სატელევიზიო მიმოხილვა, 20.55 — მხატვრული ფილმი „ჰორიზონტს იქით“.

ᲥᲘᲜᲝ

26 აგვისტო

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), ოქტომბერი, ისანი (საზამთრო), თბილისი, კოლხიდა (საზამთრო), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზამთრო) — პროფესორი მამლოკი, **სპარტაკი** — ხალხთა სასამართლო, **ნაკადული, აჯაბეგი** (მეორე დარბაზი), **დიდუბე** (საზამთრო) — აღსარება, **ამირანი** (საზაფხულო), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზაფხულო), **კომუნარების ბაღი** — ოთხი ნაბიჯი ღრუბლებში, **ისანი** (საზაფხულო) — პლასა უინკული, **კომკავშირელი, გაზაფხული** — სალონიკელი პატრიოტები, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი) — მოთხრობა საბრალო შეყვარებულებზე, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი) — შორეული საზღვარზე.

ᲜᲐᲮᲔᲗ ᲔᲙᲠᲐᲜᲔᲑᲖᲔ

ორშაბათიდან დედაქალაქის ეკრანებზე კინომაყურებელი ნახავს კიდევ ერთ ახალ საბჭოთა ფილმს.

„შვიდ ქარზე“ — ასე ეწოდება ამ კინოსურათს, რომელიც შექმნილია ა. გალიჩისა და ს. როსტოცკის სცენარის მიხედვით.

ეს არის მოთხრობა ერთ უბრალო საბჭოთა ქალიშვილზე, რომელმაც ომის მძიმე გზა განვლო.

ფილმში მთავარ როლს — სვეტლანას როლს ასრულებს მსახიობი ლარისა ლუჟინა.

სურათზე: კადრი ფილმიდან. სვეტლანა — ლარისა ლუჟინა.

УЭ 09482

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.